ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

შაბათი – კვირა, 15 – 16 სექტემბერი, 2018 №219 (7764) ფასი: 60 თეთრი

## ზაზა სარალიძეს გორის საკრებულოს თავმჯდომარეა აგინა

გვ.2



# ზურაბ ყიფშიძის ბინა უცხოელმა იყიდა



გვ.4

ბევრი ვინერვიულე, ძალიან მერიდება ამაზე ლაპარაკი. შვილებმა გაავრცელეს ეს ამბავი უნებართვოდ, თორემ ხმას არ ამოვიღებდი, ისე ვიბრძოლებდი სამართლიანობისთვის.




## „ოცნების“ წყალობით ცხინვალის რეგიონს კოსოვოსავით აღიარებენ“

დიმიტრი ბიძინაშვილი: „ხელისუფლება მსოფლიოს უმტკიცებს, რომ ოსებს გენოციდი ჩვენ მოვუწყვეთ“ — გვ. 3 —

## ვახტანგ ძაბირაძე: „ამ არჩევნების ბედი ბოლო ორ კვირაში გადაწყდება“

გვ.3





გვ.4

## „ყაზტრანსგაზთბილისი“, შესაძლოა, რუსების ხელში აღმოჩნდეს“

## რა შემთხვევაში მოაქცევს აშშ რუსეთს სრულ ფინანსურ ბლოკადაში

გვ.5



### სამართალი

გვ.7




ავარია ტყიბულში — ერთი გარდაცვლილი და 9 მძიმედ დაშავებული

4 ნარკორეალიზატორი დააკავეს





პროკურატურა ლევან ყიფიანს 17 სექტემბერს, ზაზა ოქუაშვილს კი თბილისში ჩამოსვლისთანავე გამოკითხავს

თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად გაგა კირკიტაძე დაინიშნა



### ეკონომიკა

გვ.6




ავტოტრანსპორტით ხორბლის შემოტანის აკრძალვის ვადამ პირველ ოქტომბრამდე გადაიწია

ბექა ნაცვლიშვილი ეთანხმება რომან გოცირიძეს, რომ საქართველომ ხუთ წელიწადში 4.3 მლრდ ლარი დაკარგა





ეკონომიკის მინისტრის შთამბეჭდავი ქონება — ფასიანი ქაღალდები „საქართველოს ბანკში“ და უძრავი ქონება მოსკოვსა და საქართველოში

კანაფთან დაკავშირებული საქმიანობის ლიცენზიის ღირებულება 25 ათასი ლარი იქნება



ISSN 1987-9385

5 რატომ შემცირდა ინვესტიციები მშენებლობის სექტორში 2,2-ჯერ

4 რუსი ტურისტების მესამედი უპირატესობას ქართულ ღვინოს ანიჭებს

5 მაია მიმინოშვილი: „მესმის, რომ განათლების სისტემაში ცვლილებების წამოწყება ახალ მინისტრს თავის გუნდთან ერთად სურს“

4 რომან კაკულია: „საპენსიო რეფორმის გასაჩივრების მსურველები წარმატებას ვერ მიაღწევენ“

# ზაზა სარალიძეს გორის საკრებულოს თავმჯდომარემ აგინა

შორენა მარსაგიშვილი

**14 სექტემბერს გორში დიდი ხმაური იყო. გაურკვეველ ვითარებაში დაღუპული მოზარდის, თორნიკე მერებაშვილის მშობლებმა და ახლობლებმა აქცია გამართეს და ცენტრალური მაგისტრალი გადაკეტეს. რაც პოლიციასთან დაპირისპირებით დასრულდა.**

მერებაშვილის ოჯახის წევრების მხარდასაჭერად თბილისიდან სხვა შვილმოკლული მშობლებიც ჩავიდნენ.

— მე და ზაზა სარალიძე გორში ჩამოვედით იმისათვის, რომ ორივე შევუერთდეთ ამ აქციას და ამ ხალხს გვერდში დავუდგეთ. ჩვენ ამ სისხლიანი რეჟიმის წინააღმდეგი ვართ. ჩვენს ძალებს აუცილებლად გავაერთიანებთ არა მარტო გორში, არამედ ყველგან. მე იმედი მაქვს, რომ მთელი საქართველო ფეხზე დადგება, — განაცხადა მაჩალიკაშვილმა.

ზაზა სარალიძის განცხადებით კი, ყველა ფეხზე დადგება.

— ჩვენი სიამაყეები უკვე მიწაში ლპებიან. ვიდრე დამნაშავეები არ დალპებიან, მანამ აქ ვიდგებით. არ ეგონოთ, რომ რომელიმე წავიქცევით. ჩვენ ყველაფერს მშვიდობიანად ვითხოვთ. კანონს თავად არღვევენ და კიდევ უფრო დაარღვევენ თუ მთელი საქართველო ფეხზე არ დადგება, — განაცხადა სარალიძემ.

ზაზა სარალიძის და მალხაზ მაჩალიკაშვილის გამოჩენას გორელი ჩინოსნები აგრესიულად შეხვდნენ. განსაკუთრებით გორის საკრებულოს თავმჯდომარე, ზაზა რაზმაძე გამწარდა. მან შვილმოკლულ მშობლებს პოლიტიკურად ანგაჟირებულები უწოდა.

ამან მალხაზ მაჩალიკაშვილი და ზაზა სარალიძე ძალიან გააბრაზა. განსაკუთრებით სარალიძე აღშფოთდა.

მან და ზაზა რაზმაძემ ერთმანეთს აგინეს. ინციდენტის შემდეგ სარალიძე ცუდად გახდა. შვილმოკლულ



მშობელს სამედიცინო დახმარების აღმოჩენა დასჭირდა.



ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი ნიკა მელია გორის საკრებულოს თავმჯდომარის გადადგომას ითხოვს.

— გორის საკრებულოს თავმჯდომარემ გორში აქციაზე ჩასულ შვილმოკლულ მამებს პოლიტიკურად მართულები უწოდა და იქამდე გათავხედდა, რომ ზაზა სარალიძეს დედა აგინა.

ეს აღვირახსნილი ქოცი დაუყონებლივ უნდა გადადგეს და დადოს მანდატი. ეს აღვირახსნილი ქოცი არის სახე ამ ხელისუფლების, — აღნიშნა ნიკა მელიამ.

გორის რაიონის სოფელ ხელთუბანში გარდაცვლილი თორნიკე მერებაშვილის მამა შსს-ს ორკვირიან ვადას აძლევს. ოჯახი მიიჩნევს, რომ თორნიკე მერებაშვილი ავარიის შედეგად არ დაღუპულა და იგი მოკლულია.

— ორ კვირაში უნდა დაიდოს ამ გამოძიების კონკრეტული შედეგი, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაცილებით მასშტაბური საპროტესტო აქციები გაიმართება. არაერთხელ ვუთხარი შსს-ს წარმომადგენლებს, რომ ობიექტურად ჩაეტარებინათ გამოძიება და ნუ მაიძულებდნენ, რომ ქუჩაში გამოვსულიყავი და ამგვარი ზომებისთვის მიმემართა. თუმცა, როგორც ვხედავთ, მაინც ქუჩაში გამოსვლა და პროტესტი გახდა საჭირო, — განაცხადა გარდაცვლილის მამამ, მერაბ მერებაშვილმა.

14 სექტემბერს შვილმოკლულმა მშობლებმა აქცია ზესტაფონშიც გამართეს. რუსთავი 2-ის ცნობით, ზესტაფონში 3 წლის წინ გარდაცვლილი ედიშერ ებანოიძის ოჯახი მომხდარის გამოძიებას და დამნაშავის დასჯას ითხოვს

?ებანოიძე ძირულაში სარკინიგზო გვირაბის მშენებლობაზე იყო დასაქმებული და როგორც გარდაცვლილის ახლობლები ამბობენ, მას ჩინური კომპანიის წარმომადგენლები ფიზიკურად მას შემდეგ გაუსწორდნენ, რაც კუთვნილი ანაზღაურება მოითხოვა. ოჯახის წევრთა განცხადებით, 37 წლის მამაკაცი ცემის შედეგად გარდაიცვალა.

რუსთავი 2-ის ცნობით, აქციის მონაწილეები ზესტაფონის პოლიციის განყოფილების ხელმძღვანელებს შეხვდნენ. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ „სამართალდამცველთა ლიგის" ხელმძღვანელმა ზვიად კუპრავამ განაცხადა, პოლიციაში თქვეს, რომ საქმის ძიება პროკურატურამ შეწყვიტა.

ედიშერ ებანოიძის ოჯახის წევრების თქმით კი, ისინი საპროტესტო აქციებს გააგრძელებენ მანამ, სანამ დამნაშავის ვინაობა არ დადგინდება.

# მამუკა ბახტაძე „იბერიაზე": „არ არის ლამაზი, როცა აქციონერი ცდილობს ამ ორი საკითხის ერთმანეთთან დაკავშირებას"



პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძის განცხადებით, არ არის ლამაზი, როცა აქციონერი ცდილობს ორი საკითხის ერთმანეთთან დაკავშირებას. ასე ეხმაურება პრემიერი ტელეკომპანია „იბერიას" ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს.

— ჩვენ ყოველთვის ავიღებთ პასუხისმგებლობას იმაზე, რომ საქართველოში დაცული იყოს მედია პლურალიზმი. „ქართული ოცნების" ერთ-ერთი მთავარი გამარჯვება არის ის, რომ ჩვენთან დამკვიდრდა მედია პლურალიზმი და ეს არის ჩვენი ერთ-ერთი მთავარი წარმატება. რაც შეეხება საგადასახადო კომპონენტს, რომელიც ეხება თამბაქოს ბიზნესს და კომერციულ საქმიანობას, ეს არის განსხვავებული ასპექტი. არ არის ლამაზი, როცა აქციონერი ცდილობს ამ ორი საკითხის ერთმანეთთან დაკავშირებას. ჩვენ ვართ ყველა მეწარმის გვერდით, რომელიც თუნდაც ერთ ადამიანს დაასაქმებს და ერთ სამუშაო ადგილს ქმნის.

მე პირადად გამოვხატავ სიმპათიას ყველა მეწარმის მიმართ, რომელიც თუნდაც ერთ სამუშაო ადგილს ქმნის, სახელმწიფო ყოველთვის არის მოწადინებული იმაზე, რომ კომერციულ საქმიანობას დაუდგეს გვერდით, თუ ვერ იხდის გადასახადებს, მისცეს მას ისეთი კომფორტული გადახდის გეგმა, რომ შენარჩუნებული იქნას საწარმო, ფინანსთა სამინისტრომ და შემოსავლების სამსახურმა ამის დემონსტრირება მოახდინა. შემოსავლების სამსახურმა 11-ჯერ გადაავადა ის გადასახადები, რაც ასეთ დროს ხდება, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

შეგახსენებთ, რომ ტელეკომპანია „იბერიას" მფლობელები ხელისუფლებას ზეწოლაში და არხისთვის მთავარი ფინანსური წყაროს გადაკეტვაში ადანაშაულებენ. ტელეკომპანია „იბერიას" საინფორმაციო სამსახურის განცხადებით, ხელისუფლების მიზანი ტელეკომპანიის დახურვაა.

ხელისუფლების მხრიდან ტელეკომპანიაზე ზეწოლასთან დაკავშირებით „იბერიას" მიერ გაკეთებულ განცხადებას საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უპასუხა. სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ „ომეგა ჯგუფში" შემავალ, სიგარეტის მწარმოებელ კომპანია შპს „ოჯთ-ის" საგადასახადო დავალიანების სახით, დღეის მდგომარეობით, ერიცხება 51 მლნ 717 ათასი ლარი, რომლის ძირითად ნაწილს შეადგენს თამბაქოს ნაწარმზე აქციზის გადასახადის გადაუხდელობა. ფინანსთა სამინისტროს ცნობით, თანხის გადაუხდელობის გამო, ამჟამად, კომპანიის მიმართ გავრცელებულია იძულებითი ღონისძიებები — ინკასო და ყადაღა.

# ბუნებრივი მატების დადებითი მაჩვენებელი ქვეყნის მხოლოდ 3 რეგიონში ფიქსირდება



საქართველოში 2018 წლის იანვარ-ივნისში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობამ 24.312 ბავშვი შეადგინა. ამავე პერიოდში ქვეყანაში გარდაიცვალა 23.603 ადამიანი.

2018 წლის პირველ ნახევარში ბუნებრივი მატება (სხვაობა ცოცხლად დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხოვნობას შორის) 709 კაცით განისაზღვრა.

საქსტატის ინფორმაციით, ბუნებრივი მატების დადებითი მაჩვენებელი ქვეყნის 3 რეგიონში ფიქსირდება: ქ. თბილისში (2.109), აჭარაში (1.041) და ქვემო ქართლში (674).

# დავით რაქვიაშვილი: „საქართველოში დაბრუნდა დისკუსია „ვინ დაიწყო ომი", რაც საქართველოსთვის დაღუპულ გმირებს შეურაცხყოფს"



საქართველოში დაბრუნდა დისკუსია „ვინ დაიწყო ომი". ეს დისკუსია არ ემსახურება ჭეშმარიტების დადგენას, — აცხადებს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი დავით რაქვიაშვილი. როგორც რაქვიაშვილი „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე წერს, ეს დისკუსია შეურაცხყოფს საქართველოსთვის დაღუპულ გმირებს, მათ ოჯახებს და სახელმწიფოს.

— ამ დღეებში, როდესაც ჯონ მაკკეინის თანამებრძოლებმა, საქართველოს ერთგულმა და გავლენიანმა მეგობრებმა აღელვებულებმა განაცხადეს ღჩ კონფერენციაზე, რომ გააგრძელებენ სენატორის მისიას — ქართველი ხალხის გვერდში დგომას თავისუფლებისთვის ბრძოლაში რუსეთის წინააღმდეგ; როდესაც აშშ-ის კონგრესში შევიდა სირიის მიერ საქართველოს ოკუპირებული რეგიონების „აღიარების" დამგმობი რეზოლუცია; როდესაც ტატუნაშვილის საფლავზე მისულმა ესტონეთის პრეზიდენტმა თბილისიდან მიმართა მსოფლიოს, რომ არ არსებობს „გაყინული კონფლიქტი", რომ ამას აგრესია და ოკუპაცია ეწოდება, რომ რუსული ოკუპაცია იტაცებს, აწამებს, კლავს და რომ ის უნდა დასრულდეს; როდესაც ახლოვდება 27 სექტემბერი, როდესაც სულ ერთი თვეა გასული 7 აგვისტოდან, საქართველოში დაბრუნდა დისკუსია — „ვინ დაიწყო ომი". ეს დისკუსია არ ემსახურება ჭეშმარიტების დადგენას; ეს დისკუსია შეურაცხყოფს საქართველოსთვის დაღუპულ გმირებს, მათ ოჯახებს და სახელმწიფოს. ეს დისკუსია არ ემსახურება ჩვენი ჯარისკაცების სიცოცხლის გადარჩენას მომავალში; ეს დისკუსია არ ემსახურება საქართველოს ინტერესებს; ეს დისკუსია აღარ მიმდინარეობს, კრემლის გარდა, არსად. არ ჩაერთოთ ამ დისკუსიაში", — წერს დავით რაქვიაშვილი.

# ლევან ყიფიანმა „საქართველოს რკინიგზის" სამეთვალყურეო საბჭო დატოვა



ლევან ყიფიანმა „საქართველოს რკინიგზის" სამეთვალყურეო საბჭო დატოვა. ამის შესახებ ყიფიანმა სოციალურ ქსელ „ფეისბუქში" დაწერა.

— შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო „საქართველოს რკინიგზის" სამეთვალყურეო საბჭო. მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის, გისურვებთ წარმატებას, — წერს ლევან ყიფიანი.

შეგახსენებთ, თბილისის პროკურატურამ მედიაში რამდენიმე დღის წინ გასულ ლევან ყიფიანისა და ზაზა ოქუაშვილის სავარაუდო საუბრის აუდიოჩანაწერებთან დაკავშირებით გამოძიება უკვე დაიწყო.

საქართველოს მთავარი პროკურატურა ლევან ყიფიანს 17 სექტემბერს, ხოლო ტელეკომპანია „იბერიას" დამფუძნებელ ზაზა ოქუაშვილს თბილისში ჩამოსვლისთანავე გამოკითხავს.

# მიხეილ ბატიაშვილი: „2022 წლისთვის მასწავლებლის საშუალო ხელფასი 1500 ლარი იქნება



განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის, მიხეილ ბატიაშვილის განცხადებით, განათლების რეფორმა მასწავლებლების, სპეციალური მასწავლებლების, სკოლის დირექტორებისა და ადმინისტრაციის სახელფასო პოლიტიკის ცვლილებას ითვალისწინებს.

როგორც მინისტრმა განათლების რეფორმის პრეზენტაციაზე აღნიშნა, 2018-2019 სასწავლო წელს გაზრდილ ხელფასს მიიღებს 10.000-მდე მასწავლებელი, მათ შორის, სპეცმასწავლებელი.

მისივე თქმით, 2019-2021 წლებში ხელფასები გაეზრდებათ სკოლის დირექტორებს, ადმინისტრაციულ პერსონალს და გაგრძელდება ხელფასების ზრდა მასწავლებლებისთვის. როგორც ბატიაშვილმა აღნიშნა, 2022 წლისთვის კი მასწავლებლის საშუალო ხელფასი მიაღწევს 1.500 ლარს, ხოლო უმაღლესი საფეხურის მასწავლებლების ხელფასი — 2.000 ლარს და მეტს.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვახტანგ ძაბირაძე: „ამ არჩევნების ბედი ბოლო ორ კვირაში გადაწყდება“

## „სიტუაცია ისეა აჭრილი, რომ ყველაფერია მოსალოდნელი“

ნათია ხურცილავა



**პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება საპრეზიდენტო არჩევნებში ოფიციალურად არ მონაწილეობს, რამდენად ლოგიკურად მიგაჩნიათ, რომ ერთ თვეში არჩევნებია და პარალელურ რეჟიმში მთავრობა მარიხუანის პლანტაციების გაშენების საკითხს განიხილავდეს? როგორ ფიქრობთ, რატომ რისკავს?***

– არც ერთი ნორმალური ხელისუფლება ასეთ ნაბიჯს არ გადადგამდა, მით უფრო, არჩევნების წინ, მიუხედავად იმისა, ამ არჩევნებში მისი კანდიდატი მონაწილეობს თუ არა. ზოგადად, საზოგადოების, საერთოდ ჩვენი ხალხის პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ასეთ ნაბიჯებს და არჩევნებს არ ვუკავშირებთ ერთმანეთს. რა თქმა უნდა, განწყობა მკვეთრად უარყოფითია. დღეს არ არსებობს ორი ადამიანი ერთმანეთს შეხვდეს და ამ საკითხზე არ დაიწყოს საუბარი, მაგრამ რატომღაც ეს ცალკეა და არჩევნები – ცალკე. თითქოს ამ ორ მოვლენას შორის ადამიანები კავშირს ვერ ხედავენ.

***– თქვენ ამბობთ, თუ ინიციატივის ავტორი არ მოგწონს, შეცვალეო?***

– რა თქმა უნდა! ეს ხომ ძალიან მარტივი და ლოგიკურია, მაგრამ არა, ხალხს ურჩევნია, ამაზე ხმამაღლა ისაუბროს ქუჩაში, სახლში, მაგრამ, საქმე საქმეზე რომ მივა, არაფერი გააკეთოს ამის საწინააღმდეგო. ამიტომაც არანაირად არ მიაღწევს ეს ვითარება კრიტიკულ ზღვარს. ეს გადაივლის სახლში გაბრაზების ფარგლებში. რასაკვირველია, რაღაც გავლენებს იქონიებს, მაგრამ არც იმდენსა და ისეთს, რომ ხელისუფლებამ ამას ვერ გაუძლოს.

***– ხელისუფლებამ ოპოზიციას კარგი მასალა მისცა, მაგრამ ოპოზიცია რამდენად შეძლებს მის გამოყენებას?***

– ეს არის მთავარი კითხვა. სიმართლე გითხრათ, ეჭვი მეპარება, რომ ოპოზიციამ რამე შეძლოს. დიახ, ეს მართლაც არის კარგი სამუშაო მასალა, მაგრამ ამის დამუშავებას ოპოზიცია ვერ შეძლებს, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციას იმის პრობლემა არ უდგას, რომ ხალხამდე მიიტანოს და გააგებინოს, რა პრობლემის მოტანა შეუძლია ამას. ჩვენი საზოგადოებისთვის ეს იმდენად აქტუალურია, რომ ამაში ოპოზიციას ენერგიის დახარჯვა ნამდვილად არ მოუწევს, მაგრამ შემდგომ ეტაპს როგორ მოაბამს თავს, ეს არის მისი პრობლემა.

არ მესმის, რა განსხვავებაა მარიხუანასა და სამედიცინო მარიხუანას შორის! სხვადასხვა ჯიშია, სხვადასხვანაირად მოქმედებს თუ რა ხდება, ვერ გავიგე! როგორც ჩანს, ეს მთლიანად პიარისა და შეფუთვის თემაა. ამიტომ მე მიჭირს თქმა, ოპოზიცია შეძლებს თუ არა, საზოგადოება დაარწმუნოს, რომ ხელისუფლების ამ არაპოპულარულ ნაბიჯს მათი რეაქცია უნდა მოჰყვეს და ეს პირველ რიგში არჩევნების შედეგებზე უნდა აისახოს. ამას თუ შეძლებს ოპოზიცია, მაშინ, რასაკვირველია, ხელისუფლება უკვე კარგად დაფიქრდება. თუმცა, გულწრფელად რომ გითხრათ, მაინც ეჭვი მეპარება, დღეს ოპოზიციამ ეს შეძლოს.

***– რატომ, მართლაც არ არის რეალური ალტერნატივა და ამომრჩეველიც ამიტომ ამუხრუჭებს?***

– ამის მიზეზი მხოლოდ ალტერნატივაში არ არის. მე რასაც ვუყურებ მთელი ამ წლების განმავლობაში, ჩვენი საზოგადოება აფექტის საზოგადოებაა. ჩვენ ბოლომდე ვცდილობთ, ხელისუფლების მიმართ მიმტევებელი ვიყოთ. შემდეგ უკვე, როდესაც ზღვარს გადავა ეს ხელისუფლება, ვიწყებთ მის შეცვლას არა არჩევნების გზით, ეტაპობრივად, არამედ პირდაპირ სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივდივართ. ეს პრობლემა ჩვენს საზოგადოებას ნამდვილად აქვს. ეს პრობლემა რომ არა, რა უდგას წინ იმას, რომ არჩევნებზე შენი პოზიცია დააფიქსირო და უთხრა ხელისუფლებას, რომ ის რასაც აკეთებს, არ მოგწონს და მზად ხარ, შეცვალო.

დღეს ამომრჩევლის სამოქალაქო შეგნება მაღალი რომ იყოს, თუ გნებავთ, საშუალო დონის მაინც, ეს ამომრჩეველი სახლში კი არ უნდა დაჯდეს და გაბრაზდეს, არამედ, აუცილებლად უნდა წავიდეს არჩევნებზე და თავისი არჩევანი გააკეთოს.

***– თუ არჩევანი არ აქვს ან არ მოსწონს?***

– ეს უკვე თავის მართლების პოზიციიდან არის ნათქვამი. შეუძლებელია, ვინმე არ მოგწონდეს. კი ბატონო, არ მოგწონს, მაგრამ უნდა გააცნობიერო შენი პასუხისმგებლობა ქვეყნის, მისი მომავლის წინაშე და, რაც მთავარია, ხელისუფლება უნდა გამოაფხიზლო. შენი პოზიცია ყველა შემთხვევაში უნდა დააფიქსირო. როდესაც ამ ქვეყნის მოქალაქე ხარ, სხვაგვარად არ შეიძლება. არჩევნები ამის საუკეთესო გზაა. თუ პოლიტიკური პროცესების ისევ ქუჩაში გადმოტანა გვინდა, მაშინ ქუჩა შორს არ არის და ამის არაერთი გამოცდილებაც გვაქვს, მაგრამ ამას არავითარი სიკეთე ჩვენი ქვეყნისთვის არ მოუტანია. საზოგადოებამ უნდა შეძლოს, მოძებნოს გამოსავალი, თუ უნდა, რომ თავიდან აიცილოს ქუჩა და დაპირისპირება.

***– როგორ ფიქრობთ, ამ არჩევნების მთავარი გამოწვევა რა იქნება? ერთ-ერთი ბოლო კვლევებით თითქოს 75% არ აპირებს არჩევნებზე მისვლას. ასეთი მაღალი მაჩვენებელი არასდროს დაფიქსირებულა.***

– რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა ნიჰილისტურად განწყობილი ამომრჩეველი იქნება, როდესაც ამომრჩეველს საერთოდ არ უნდა არჩევნებისკენ გახედვა.

ეს არ არის მხოლოდ ოპოზიციის პრობლემა. ეს არის ხელისუფლების სერიოზული პრობლემა სწორედ იმ კონტექსტში, როდესაც გითხარით, რომ ჩვენი საზოგადოება ბოლომდე აცლის ხოლმე ხელისუფლებას, მაგრამ შემდეგ უკვე ვიცით, როგორც ისტუმრებს მას.

ისე, ყველა არჩევნების მთავარი პრობლემა სწორედ ის არის, თუ ვინ შეძლებს ამომრჩევლის არჩევნებზე მიყვანას. ამ კონკრეტულ არჩევნებზე ამას დაემატება, თუ ვინ შეძლებს ნეიტრალური ამომრჩევლის მიყვანას. თუმცა, ჩვენთან ხომ არაორდინარული ვითარებაა იმ მხრივაც, რომ არჩევნების ბედი ბოლო ორი კვირის განმავლობაში წყდება.

***– ასეთი არაორდინარული რამ ამ არჩევნებზეც არის მოსალოდნელი? მაგალითად, 2012 წელს ციხის კადრებმა ბევრი რამ გადაწყვიტა.***

– სიმართლე გითხრათ, არაფერს გამოვრიცხავ, ისეა სიტუაცია აჭრილი, სხვას ვერაფერს დავარქმევ ამ ვითარებას, რაც დღეს ხდება. თუნდაც ამ წინასაარჩევნოდ ისე მიდის ყველაფერი, რომ არაფერი არ არის გამორიცხული. ამიტომ ყველაფერია მოსალოდნელი.

# „ოცნების“ წყალობით ცხინვალის რეგიონს კოსოვოსავით აღიარებენ“

## დიმიტრი ბიძინაშვილი: „ხელისუფლება მსოფლიოს უმტკიცებს, რომ ოსებს გენოციდი ჩვენ მოვუწყვეთ“

შორენა მარსაგიშვილი

**რას ემსახურება „ოცნების“ მხარდაჭერილი კანდიდატის უცნაური განცხადებები, აღიარებს თუ არა დასავლეთი ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობას, რატომ ვერ გაამყარებს მარიხუანის ექსპორტზე გატანა ლარს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ მონიტორინგის ცენტრ „მედიატორის“ წევრი დიმიტრი ბიძინაშვილი ესაუბრება.**

***– სალომე ზურაბიშვილი ისევ განაგრძობს იმის მტკიცებას, რომ 2008 წლის აგვისტოში ომი საქართველომ დაიწყო. მისგან ახალი მარგალიტიც მოვისმინეთ – სამეგრელოს მეზობელი აფხაზეთი. ვერ ხვდება, რასაც ამბობს თუ რაშია საქმე?***

– რაშია საქმე და ეს ქალი არის სუფთა რუსული პროექტი. მისი ყველა განცხადება რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. ამ განცხადებების წყალობით ძალიან მალე, შესაძლოა, დასავლეთმა ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა აღიაროს, რის შემდეგაც ამ რეგიონის დაბრუნებაზე აღარც უნდა ვიოცნებოთ.

თქვენს მკითხველს გავახსენებ, თუ რატომ აღიარა დასავლეთმა კოსოვოს დამოუკიდებლობა. დამტკიცდა, რომ სერბებმა კოსოვოს მოსახლეობას გენოციდი მოუწყვეს. კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების მიზეზი სწორედ ეს გახდა.



სალომე ზურაბიშვილის განცხადებებით, დაახლოებით ამ გზას დავადექით. ყველამ დავინახეთ, თუ რა გამოხმაურება მოჰყვა მის განცხადებებს რუსეთში. მთელი რუსული პრესა მისი სურათებით არის აჭრელებული. რუსული მედია ზურაბიშვილის სიტყვებზე დაყრდნობით მსოფლიოს ამცნობს, რომ 2008 წელს ომი საქართველომ დაიწყო და მძინარე ოსებს გენოციდი მოუწყო.

ამ ქალის განცხადებები არის სუფთა რუსული ნარატივი. დარწმუნებული იყავით, რომ ამას მოსკოვი აუცილებლად გამოიყენებს.

***– რაში ან როგორ უნდა გამოიყენოს?***

– ხვალ და ზეგ ამ ომთან დაკავშირებით გაიმართება საერთაშორისო სასამართლო. საერთაშორისო სასამართლოში აქამდე ჩვენ გვქონდა უპირატესობა. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ომი დაიწყო რუსეთმა და ჩვენ არავის ტერიტორიაზე არ შევჭრილვართ.

***– სხვის ტერიტორიაზე რანაირად შევიჭრებოდით, ცხინვალის რეგიონი თავიდან ბოლომდე ქართული მიწაა.***

– რა თქმა უნდა, ქართული მიწაა და როგორ შეიძლება თქვა, რომ ომი საქართველომ დაიწყო. კახეთის რეგიონში რამე მასშტაბური სპეცოპერაცია რომ ჩატარდეს, ხომ ვერ ვიტყვით, რომ ომი საქართველომ დაიწყო. ცხინვალიც ისეთივე ქართული რეგიონია, როგორიც კახეთი.

კიდევ ერთხელ გეუბნებით, რომ ეს განცხადებები კეთდება იმისთვის, რომ მოხდეს ცხინვალის რეგიონის აღიარება დასავლეთის მიერ. აქედან გამომდინარე, ამ ქალის პრეზიდენტად არჩევა იქნება სამშობლოს ღალატი.

***– კოსოვოს შემთხვევაში დამტკიცდა, რომ მათ გენოციდი მოუწყვეს, მაგრამ ზურაბიშვილის ამ განცხადებებმა რა უნდა დაამტკიცოს. ის გენოციდზე არსად საუბრობს.***

– ეს ქალი ამტკიცებს, რომ ომი ჩვენ დავიწყეთ და მძინარე ოსები დავხოცეთ. რუსეთი ჯერ იმას დაუმტკიცებს მსოფლიოს, რომ ომი თბილისმა დაიწყო და მერე გენოციდის საკითხსაც მიხედავს. არ დაგვავიწყდეს, რომ კრემლს საქართველოს ხელისუფლებაში მოკავშირეები ჰყავს.

***– „ოცნების“ დეპუტატების ნაწილი ღიად გაემიჯნა ზურაბიშვილის განცხადებებს. თავიდან თქვეს, რომ მის მოსაზრებას იზიარებდნენ, მერე თქვეს, რომ ომი რუსეთმა დაიწყო. რა ხდება?***

– არაფერიც არ ხდება. ამ პარტიის წევრები არაფერზე არ ფიქრობენ და მათ განცხადებებსაც არ უნდა მივაქციოთ დიდი ყურადღება.

***– რატომ არ უნდა მივაქციოთ?***

– იმიტომ, რომ ხვალ შესაძლოა ერთხმად თქვან, ომი საქართველომ დაიწყოო. ამის თქმის საფუძველს ბოლო დროს განვითარებული მოვლენები მაძლევს.

ცოტა ხნის წინ საკონსტიტუციო სასამართლომ მარიხუანის ლეგალიზების გადაწყვეტილება მიიღო. გამოცვივდნენ „ოცნების“ დეპუტატები და მარიხუანის გამო დაიწყეს საკონსტიტუციოს ლანძღვა. მოსამართლეები ლამის ანათემაზე გადასცეს. რამდენიმე მეოცნებემ საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმებაც კი მოითხოვა.

ერთი ამბავი ჰქონდათ იმაზე, ეს კანონი უნდა შევცვალოთო, ეს დღეები კი იმას გვიმტკიცებენ, რომ საქართველოს მარიხუანა გადაარჩენს. აი, ასეთი ხალხია „ქართულ ოცნებაში“.

კარგად დაიმახსოვრეთ, რომ ისინი არაფერს წყვეტენ – როგორც ივანიშვილი მოითხოვს, ისინიც ისე იმოქმედებენ. ამიტომ დიდ ყურადღებას არ ვაქცევ, თუ რას იტყვიან „ოცნების“ დეპუტატები ზურაბიშვილის რუსულ ნარატივზე. აქ მთავარი ის არის, რას ფიქრობს ბიძინა. ეს, თავის მხრივ, იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ხასიათზე გაიღვიძებს ეს ადამიანი.

***– „ოცნების“ წევრებისა და მარიხუანის ამბავს შეეხეთ და, თქვენი აზრით, მისი ექსპორტზე გატანა ლარს გაამყარებს? დეპუტატი აკაკი ზოიძე ამტკიცებს, რომ გაამყარებს.***

– მარიხუანა ლარს გაამყარებსო, ხომ? მაშინ კოლუმბია და ავღანეთი მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვეყნები უნდა იყოს. ასეთი განცხადებები არის უნამუსობა და ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა.

**ხვალ და ზეგ ამ ომთან დაკავშირებით გაიმართება საერთაშორისო სასამართლო. საერთაშორისო სასამართლოში აქამდე ჩვენ გვქონდა უპირატესობა. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ ომი დაიწყო რუსეთმა და ჩვენ არავის ტერიტორიაზე არ შევჭრილვართ**

ნონა ცაბაძე

# „ყაზტრანსგაზთბილისი“, შესაძლოა, რუსების ხელში აღმოჩნდეს“

**„ახალი თაობის“ კითხვებს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე რომან გოცირიძე პასუხობს.**

***— ბატონო რომან, ბოლო პერიოდია, აქტიურად საუბრობენ გაზის ტარიფის მომატებაზე. ასევე საუბარია „ყაზტრანსგაზთბილისის“ გაყიდვის თაობაზე. რა ინფორმაციას ფლობთ?***

— მთლიანად მოშლილია ეს სისტემა. ფაქტია, რომ მიიღეს გადაწყვეტილებები „გაზპრომთან“ დაკავშირებით, მაგალითად, გაზის ტრანსპორტირების სქემის შეცვლა და ნატურის ნაცვლად ფულადი ანაზღაურება, სადაც დავკარგეთ ათეულობით მილიონი ლარი, ისევე, როგორც ფაქტობრივად შაჰდენიზიდან მიღებული ნაწილიც ასე იფლანგება, ვინაიდან „ყაზტრანსგაზთბილისი“ არ უბრუნებს ფულს. ასევე უზარმაზარი გაფლანგვები, რომლებიც ხდება გაზის ტრანსპორტირებაში. ეს კი იწვევს გაზის სექტორში უზარმაზარი დავალიანების წარმოშობას და, ბუნებრივია, ასეთი უყაირათო მუშაობის გამო მათ სჭირდებათ ტარიფების ზრდა. ასევე ერთ-ერთი ფაქტორია ლარის გაუფასურება, რომელიც ყველაფერზე მოქმედებს. ასე რომ, ძალიან სავალალო მდგომარეობაა გაზის სექტორში.

***— ქვეყანა ხომ დიდი ოდენობით იღებს უფასო გაზსაც. რატომ არის სავალალო მდგომარეობა?***

— საქმეც ეგ არის, რომ სახალხო ქონებას ასე წურბელებით ასხედან და წოვენ. მთავრობამ მორიგი დანაშაულებრივი ნაბიჯი გადადგა. საქმე გაზის სექტორთან დაკავშირებულ ახლახან მიღებულ გადაწყვეტილებას ეხება.

***— რომელ გადაწყვეტილებას გულისხმობთ?***

— როგორც ცნობილია, ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენით გაზის ტრანზიტის სანაცვლოდ საქართველო უფასოდ იღებს გაზის ერთ ნაწილს, მეორე ნაწილს – შეღავათიან ფასად, ხოლო დანარჩენს ყიდულობს კომერციულ ფასში. ასევე გვეკუთვნის ფული ან გაზი რუსეთიდან სომხეთში გაზის ტრანსპორტირების სანაცვლოდ. ეს ჩვენი სახალხო სიმდიდრეა. ამას ასხედან წურბელებივით ხელისუფლების მაღალჩინოსნები, მათი სანათესავო, მათ მიერ შექმნილი ფირმები და განკარგავენ საქვეყნო სიმდიდრეს საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ.



***— სერიოზული პრობლემებია გაზის სისტემაში?***

— ქვეყნის გაზის სისტემა ფინანსურად გაკოტრებულია. ამ სფეროში მომუშავე სახელმწიფო კომპანიები ყოველწლიურად ასეულობით მილიონი ლარის ზარალს განიცდიან. „ყაზტრანსგაზთბილისმა“, რომელსაც ეკუთვნის თბილისის გაზგამანაწილებელი სისტემა, 80 მილიონამდე ლარის ოდენობის ვალი დააგროვა სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე წლების წინ. იგი ყიდულობდა ზემოთ ნახსენებ ჩვენს კუთვნილ გაზს სახელმწიფო ორგანიზაციებისგან, არ იხდიდა ფულს და ასე დაუგროვდა ეს დავალიანება.

ვალი არათუ ვერ იქნა გასტუმრებული, პირიქით, გაიზარდა და დღეისათვის იგი 96 მილიონ ლარს შეადგენს. ახლახან საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჩამოაწეროს „ყაზტრანსგაზთბილისს“ ბიუჯეტის კუთვნილი 96 მილიონი და გასუფთავებული კომპანია პირდაპირ მიჰყიდოს ოფშორში დარეგისტრირებულ ანონიმური მესაკუთრის მქონე ფირმას.

***— ვინ არის მესაკუთრე?***

— დიდი ალბათობით, ეს ფირმა ან საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიერ არის დაფუძნებული, ან მათი კორუფციული ინტერესების გამთვალისწინებელია. კატასტროფის ტოლფასი იქნება, თუ ოფშორში დამალული ეს კომპანია აღმოჩნდება რუსული ან მოგვიანებით თბილისის გაზის სისტემა გადაყიდული იქნება რუსულ მხარეზე. ცნობილია, რომ „გაზპრომი“ აპირებდა „ყაზტრანსგაზთბილისის“ შესყიდვას და ამაზე ღიად დაიწერა კიდეც ყაზახურ პრესაში.

***— თქვენ აცხადებთ, რომ არის საფრთხე, ეს კომპანია რუსეთს ჩაუვარდეს ხელში, თუმცა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ყაზტრანსგაზთბილისის“ ყიდვა უნდა ბეჟუაშვილის კომპანიას. ამაზე რას იტყვით?***

— დიახ, უამრავი ჭორი დადის, ხოლო ის კომპანია, რომელიც ხელისუფლებამ დაასახელა და რომელიც ოფშორშია რეგისტრირებული, არსად იძებნება. ეტყობა, ეს არის ახალშექმნილი კომპანია და არა აქვს მნიშვნელობა, ბეჟუაშვილი იქნება, კალაძე თუ ივანიშვილი.

ამ ბოლო დროს ბეჟუაშვილი და ივანიშვილი ძალიან ჩაეხუტნენ ერთმანეთს, მას შემდეგ, რაც ჰაიდელბერგცემენტის 50% იყიდა ივანიშვილის კომპანიამ და მნიშვნელობა არა აქვს, ამ ოფშორში დამალულ ფირმაში ქართული გვარები იქნება თუ რუსული. მთავარია იმის გარანტია, არ მოხდეს ის, რაც მოხდა თელასთან დაკავშირებით, როდესაც თელასი ეკუთვნოდა ამერიკულ კომპანიას და შემდეგ იგი აღმოჩნდა რუსული კომპანიის ხელში.

***— რატომ აღმოჩნდა, რატომ დაირღვა ხელშეკრულება?***

— თელასის ხელშეკრულებაში იყო გათვალისწინებული, რომ ის არ უნდა ყოფილიყო საქართველოს მთავრობის ნებართვის გარეშე გაყიდული სხვაზე, მაგრამ აქ მოხდა ის, რაც ვერ გაითვალისწინეს ამ ხელშეკრულების გაფორმებისას.

***— რა ვერ გაითვალისწინეს?***

— თვითონ თელასი კი არ იყიდა რუსულმა კომპანიამ, არამედ ამერიკული კომპანია იყიდა, რომელიც ფლობდა არა მარტო თელასს, არამედ ფლობდა სხვადასხვა კომპანიებს. ფაქტობრივად, ხელშეკრულება არ დარღვეულა, ვინაიდან სათავო კომპანია გაიყიდა. თუკი „ყაზტრანსგაზთბილისი“ გაიყიდება, ხელშეკრულებაში უმკაცრესად უნდა იყოს ჩაწერილი, რომ ეს კომპანია არასდროს უნდა მოხვდეს რუსების ხელში და მის გაყიდვაზე ნებართვა უნდა მისცეს საქართველოს პარლამენტმა.

***— ანუ არის იმის საფრთხე, რომ რუსეთს ჩაუვარდეს ხელში?***

— ნებისმიერი კომპანია, რომელიც თბილისის გაზს იყიდის, უმალვე გადაყიდის ორმაგ ფასში, ვინაიდან რუსეთისათვის ეს იქნება კაპიკები. რუსული კომპანიის შემოსვლა, ფაქტობრივად, ნიშნავს თბილისის დაპყრობას. ვინაიდან გაზი რუსების გახდება, წყალი რუსების არის, ელექტროენერგია რუსების არის და, ფაქტობრივად, ერთი ღილაკი იქნება საჭირო თბილისის პარალიზებისათვის.

ამიტომ ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა ჩაიწეროს, რომ გაყიდვის შემთხვევაში აუცილებელია პარლამენტის თანხმობა. გაზის სექტორში ხდება ყველზე დიდი დანაშაული. თავის დროზე ეს აუცილებლად გახდება ყველაზე ხმაურიანი გამოძიების საგანი. დღეს კი ჩვენი ამოცანაა, რომ თბილისის გაზი არ ჩავუგდოთ ხელში მტრულ სახელმწიფოს.

***— თუკი ბეჟუაშვილის კომპანიამ იყიდა თბილისის გაზი, მაინც ხედავთ საფრთხეს, რომ რუსეთის ხელში გადავა?***

— ვხედავ. ვინც არ უნდა შეისყიდოს უკვე ვალებისაგან აბსოლუტურად ჩამოწერილი, სუფთა კომპანია, ხვალ ის ორმაგად გაყიდის რუსეთზე, იმიტომ რომ რუსეთს აქვს ამის ინტერესი. ეს ინტერესი კი არის პოლიტიკური და არა ეკონომიკური. ბიზნესმენებისათვის ეს არის ფული, ქართულმა ბიზნესმა კი პატრიოტიზმი არ იცის.

***— ტარიფის მომატებაზე რას იტყვით?***

— დღეს არავის აქვს იმის განცდა, რომ ლარი იქნება სტაბილური. ბუნებრივია, ლარის რყევა გავლენას ახდენს ხარჯებზე. ამ შემთხვევაში, თუკი ლარის კურსი შეიცვალა, ტარიფი მოიმატებს.

# ზურაბ ყიფშიძის ბინა უცხოელმა იყიდა



მსახიობი ზურაბ ყიფშიძე საქართველოს ბანკის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას გეგმავს. მისი თქმით, ბანკმა გუდიაშვილის მოედანზე მდებარე ბინა კანონდარღვევით, აუქციონზე დაჩქარებული წესით გაუყიდა.

— დაახლოებით ერთი წლის წინ, ოჯახის ახლობელმა ბანკიდან გამოიტანა იპოთეკური სესხი 280 ათასი აშშ. დოლარის ოდენობით და სანაცვლოდ ჩემი ბინა ბანკში ჩადო. რამდენიმე თვის წინ კი ამ მეგობარმა თავი მოიკლა. შესაბამისად, კრედიტიც დაუფარავი დარჩა. როცა პრობლემები შეიქმნა, პირადად მივედი საქართველოს ბანკის პრობლემური სესხების უფროსთან, რომელმაც მითხრა, რომ მაძლევდა 12-თვიან ვადას და ამ დროში, მე თვითონ შევძლებდი რეალურ ფასად ბინის გაყიდვას. ვინაიდან კრედიტის პროცენტის გადახდის საშუალება არ გვქონდა, მთელი ოჯახი ჩავერთეთ პროცესებში და ვეძებდით რეალურ მყიდველებს. ამასობაში კი საქართველოს ბანკმა დაურეკა ჩემს ცოლს, რომელიც ვერც მიხვდა რა ხდებოდა. მოგვიანებით გავიგეთ, რომ ბინა 12 თვეზე გაცილებით ადრე გაგვიყიდეს. ფაქტობრივად, გაფრთხილების გარეშე, – განმარტავს ზურაბ ყიფშიძე.

როგორც მსახიობი „კომერსანტთან“ საუბარში აღნიშნავს, ბანკი არ ასახელებს მისი ბინის მყიდველის ვინაობას. მხოლოდ ის გაიგეს, რომ იგი 300 ათას ლარად გასხვისდა და ვიღაც უცხოელმა იყიდა.

ზურაბ ყიფშიძის განცხადებით, გუდიაშვილის მოედანი დღეს თბილისის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟული და კომერციულად მომგებიანი ტერიტორიაა, ამიტომ აქ ბინების ღირებულება გაცილებით ძვირია და არ არის გამორიცხული, რომ მისი ინტერესი თავად ბანკთან დაახლოებულ პირებს ჰქონდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაურკვეველია, რატომ არ მისცა საქართველოს ბანკმა ოჯახს გარკვეული დრო ბინის გასაყიდად.

მისივე თქმით, არაერთ ადამიანს მიმართა დახმარებისთვის, თუმცა უშედეგოდ.

— ბევრი ვინერვიულე, ძალიან მერიდება ამაზე ლაპარაკი. შვილებმა გაავრცელეს ეს ამბავი უნებართვოთ, თორემ ხმას არ ამოვიღებდი, ისე ვიბრძოლებდი სამართლიანობისთვის. იმდენად ცუდად ვიყავი, რომ ქვეყნიდან გაქცევა მინდოდა. ვიცი, რომ საქართველოს ბანკი კეთილსინდისიერად არ მოქმედებს და ამას დავამტკიცებ. ბევრი ადამიანია საქართველოში ასე გაუბედურებული და ყველას მაგივრად მე ვიბრძოლებ, – აღნიშნავს ზურაბ ყიფშიძე.

„კომერსანტი“ დეტალების გასარკვევად საქართველოს ბანკსაც დაუკავშირდა. პასუხის მიღებისთანავე, ბანკის პოზიციას გავავრცელებთ.

# რომან კაკულია: „საპენსიო რეფორმის გასაჩივრების მსურველები წარმატებას ვერ მიაღწევენ“



პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია მიიჩნევს, რომ „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ ხელმძღვანელი გიორგი მშვენიერაძე საკონსტიტუციო სასამართლოში საპენსიო რეფორმის გასაჩივრების შემთხვევაში შედეგს ვერ მიიღებს.

— საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით მე ცოტა სხვა ხარისხის პრეტენზიები მქონდა. იქ ძირითადად, მეტნაკლებად ამის გათვალისწინება მოხდა. მე არა მგონია, რომ ის წარმატებას მიაღწევს ამ ნაწილში, რადგან ეს ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, თუმცა რა თქმა უნდა, კლასიკური გადასახადების ინტერპრეტაციაც არსებობს და პრინციპში, ამაში ეს არ ჯდება. ვნახოთ, სასამართლო რა გადაწყვეტილებას მიიღებს, – განაცხადა კაკულიამ.

შეგახსენებთ, რომ გიორგი მშვენიერაძე საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანას დაახლოებით ერთ თვეში აპირებს. რაც შეეხება საჩივრის შინაარსს, იგი საპენსიო რეფორმის სამ ასპექტს შეეხება.

„GDI“-ს ხელმძღვანელის თქმით, დამსაქმებლის მიერ საპენსიო ფონდში დასაქმებულის ხელფასის 2%-ის გადარიცხვის ვალდებულების დაკისრება იურიდიული პირებისთვის ახალი გადასახადის შემოღებასა და მათ საკუთრების უფლებაში ჩარევას ნიშნავს, აგრეთვე, როგორც მშვენიერაძე განმარტავს, ფიზიკური პირისთვის საკუთარი კეთილდღეობის მოტივით მისივე უფლების შეზღუდვა არის სამართლებრივი ნონსენსი.

რაც შეეხება საკონსტიტუციო სარჩელში შესატან მესამე ასპექტს, საპენსიო რეფორმიდან ის სახელმწიფოს მიერ საშემოსავლო გადასახადიდან მიღებული 2%-ის ცენტრალური ბიუჯეტის ნაცვლად მოქალაქეთა საპენსიო ფონდში მიმართვას შეეხება, რადგან „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“ ხელმძღვანელის შეფასებით, როდესაც სახელმწიფო ორი პროცენტით აფინანსებს იმ ადამიანებს, რომლებსაც მეტი შემოსავალი აქვთ, ეს არის თანასწორობის დარღვევა, რადგანაც სახელმწიფომ თავისი რესურსები უნდა მიმართოს იმ პირების სასიკეთოდ, რომლებსაც ეს რესურსები ყველაზე მეტად სჭირდებათ.

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონის ამოქმედება, ანუ საპენსიო დანაზოგების შეგროვების და კონტრიბუციის ეტაპი საქართველოში 2019 წლის 1 იანვრიდან დაიწყება.

ბმ.გე

# რუსი ტურისტების მესამედი უპირატესობას ქართულ ღვინოს ანიჭებს



„ექსპერტებმა რუსი ტურისტები გამოკითხეს – თუ სად იწარმოება მსოფლიოში ყველაზე გემრიელი ღვინო“ – იტყობინება Skyscanner.

აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა თითქმის მესამედი – 28% – უპირატესობას ანიჭებს ქართულ ღვინოებს.

მეორე ადგილზე გავიდა იტალია (25%), მესამეზე – საფრანგეთი (18%).

რეიტინგში ასევე შევიდა ესპანეთი (15%), ჩილე (11%), რუსეთი (9%), პორტუგალია (5%), სამხრეთ აფრიკა, ავსტრალია და არგენტინა, რომლებმაც მიიღეს 2-2 %.

— სექტემბრის ბოლოს ახალგაზრდა ღვინოს დაგემოვნება შეიძლება ფესტივალზე იტალიის ქალაქ ბარდოლინოში, ნოემბერში ყოველწლიურ ფესტივალზე ბოჟოლე-ნუვოში, საფრანგეთში. საქართველოში კი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში რთველი იწყება სექტემბრის ბოლოს, დასავლეთში კი – ოქტომბერში, – აცხადებს სერვისების განვითარების მენეჯერი დმიტრი ხავანსკი.

# მაია მიმინოშვილი: „მესმის, რომ განათლების სისტემაში ცვლილებების წამოწყება ახალ მინისტრს თავის გუნდთან ერთად სურს“

– საქმის კეთებისას გუნდურობას ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი და, შესაბამისად, მესმის, რომ განათლების სისტემაში ცვლილებების წამოწყება ახალ მინისტრს თავის გუნდთან ერთად სურს.

ამის შესახებ გამოცდების ეროვნული ცენტრის ამჟამად უკვე ყოფილი ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წერს.

ალნიშნული პოსტით მაია მიმინოშვილი ცდილობს, მედიისთვის განმარტოს, რატომ მიიღო განათლების მინისტრმა მიხეილ ბატიაშვილ-



მა გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობიდან მისი გათავისუფლების გადაწყვეტილება.

– ყოველთვის მიმაჩნდა, რომ მხოლოდ მაშინ შეიძლება გაუძლო სირთულეებს, თუ საქმე, რომელსაც აკეთებ, ძალიან გიყვარს. ჩემმა კოლეგებმა და მეგობრებმა კარგად იციან, რომ „ნაეკი“ ჩემთვის მხოლოდ სამსახური არასოდეს ყოფილა. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი საკუთარი მიღწევებითა თუ სირთულეებით, მისი ყველა პროექტი ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი, ალბათ უმთავრესი ეტაპი იყო და, ცხადია, ორგანიზაციის, მისი საქმიანობის მიმართ ყოველთვის განსაკუთრებული ემოციური დამოკიდებულება მექნება.

სწორედ ამიტომ მივცემ თავს უფლებას და ვიტყვი: ვიყავი და ყოველთვის ვიქნები „ნაეკის“ ყველაზე დიდი გულშემატკივარი. მიხარია, რომ მე და ჩემმა კოლეგებმა შევძელით ორგანიზაციის შექმნა, რომელიც ნებისმიერი ხელმძღვანელის პირობებში წარმატებით გაართმევს თავს ძველ და ახალ ამოცანებს. დავნერგეთ სისტემა, რომლის ობიექტურობა თუ ეფექტიანობა ერთი ან რამდენიმე ადამიანის სურვილსა და კეთილსინდისიერებაზე არ არის დამოკიდებული.

მესამე დღეა თითქმის ყველა მედიასაშუალება მთხოვს განმარტებას, თუ რა გახდა, ჩემი აზრით, მინისტრის გადაწყვეტილების მიზეზი. ვეცდები მოკლედ და გულწრფელად გიპასუხოთ: ცხადია, ჩვენს შორის არანაირი უთანხმოება ან აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა. ეს შეუძლებელიც იქნებოდა, რადგან ერთად მუშაობა ვერც მოვასწარით. ამასთან, ვფიქრობ, საკადრო ცვლილებებში დრამატული არაფერია. საქმის კეთებისას გუნდურობას ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდი და, შესაბამისად, მესმის, რომ სისტემაში ცვლილებების წამოწყება ახალ მინისტრს თავის გუნდთან ერთად სურს. ამ რთულ საქმეში წარმატება მინდა ვუსურვო! ეს ქვეყანას, საზოგადოებას ძალიან სჭირდება.

დაბოლოს ჩემს მეგობრებს, ჩემს კოლეგებს, ჩემს „ნაეკელებს“ მინდა მივმართო: სწორედ თქვენ ხართ ამ ორგანიზაციის ძლიერი მხარე. თქვენმა ფასდაუდებელმა გამოცდილებამ, საქმისადმი ერთგულებამ და პროფესიონალიზმმა შექმნა „ნაეკი“ და ეს იქნება მისი ყველა მომდევნო წარმატების უპირობო გარანტი! გმადლობთ მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის, – აცხადებს მაია მიმინოშვილი.

# რა შემთხვევაში მოაქცევს აშშ რუსეთს სრულ ფინანსურ ბლოკადაში

## მალე, შესაძლოა, რუსეთმა საქართველოს ოკუპირებული რეგიონები ვეღარ დააფინანსოს

*მარიამ მჭედლიშვილი*

**აშშ-ის კონგრესი ახალ ანტირუსულ სანქციებზე მუშაობს. ადრინდელზე უფრო მკაცრი შეზღუდვები, სავარაუდოდ, ნოემბრიდან ამოქმედდება. ამერიკელი კანონმდებლები დიდი ხანია აკრიტიკებენ პრეზიდენტ ტრამპს რუსეთის მიმართ ლოალურობისა და თეთრი სახლის მიერ გამოცხადებული სანქციების არაეფექტურობის გამო.**

ამერიკის მხრიდან რუსეთის მიმართ აქამდე გამოცხადებული სანქციები რუსეთისთვის დამაზარალებელი, მაგრამ არა დამანგრეველი აღმოჩნდა. მოსკოვმა დიდი ზიანი ყირიმის კრიზისის დაწყების დროს მიიღო. მაშინ რუსეთისთვის სტრატეგიული პროდუქტი, ნავთობი, გაიაფდა. ბოლო დროს ნავთობი გაძვირდა. ამან რუსეთს არა მარტო ამოსუნთქვის, არამედ, მოგების საშუალებაც მისცა. ნავთობზე ფასების ახლანდელი ზრდა ირანის – ნავთობის ექსპორტიორის წინააღმდეგ თეთრი სახლის ინიციატივით შემოღებულ შეზღუდვებს უკავშირდება.

კონგრესმენები აპირებენ, მიიღონ კანონპროექტები, რომლებიც ეხება ახალი გამოშვების რუსული ობლიგაციების შესყიდვის აკრძალვასა და რუსულ ბანკებში არსებული ანგარიშებისათვის პრობლემების შექმნას.

რუსეთის სრულ ფინანსურ ბლოკადაში მოქცევა, ირანისა და ჩრდილოეთ კორეის მსგავსად, ამ ეტაპზე არ იგეგმება. თუმცა, კონგრესი არც სრულ ფინანსურ ბლოკადაზე იტყვის უარს, თუ კრემლი მოახდენს ამერიკაში არჩევნების დესტაბილიზაციას ან ჩაატარებს სამხედრო ოპერაციებს.

რუსეთის სამხედრო ოპერაციების მსხვერპლ სახელმწიფოებში, პირველ რიგში, საქართველო და უკრაინა მოიაზრებიან. ახალმა სანქციებმა საქართველო და უკრაინა ახალი აგრესიისაგან უნდა დაიცვას.

მოსალოდნელი სანქციები დიდ დარტყმას მიაყენებს რუსულ ბანკებს. რუსული ბანკები, თავის მხრივ, მუშაობენ დედოლარიზაციასა და სხვა დამცავ ზომებზე.

სახელმწიფო დეპარტამენტი იმუქრება, რომ რუსეთს მკაცრ შეზღუდვებს დაუწესებს სკრიპალების მოწამვლის გამო. ამის საბაბი გახდა ის, რომ რუსეთმა უარი თქვა მისი ქიმიური იარაღის საცავების შესამოწმებლად უცხოელი მეთვალყურეების დაშვებაზე.

რუსეთს დასავლეთი მამა-შვილი სკრიპალების წინააღმდეგ ქიმიური იარაღის, ნერვულ-პარალიტიკური „ნოვიჩოკის“ გამოყენებას ედავება.

სახელმწიფო დეპარტამენტის ამ მუქარამ მყისიერად გამოიწვია რუსული რუბლის კურსის ვარდნა.



სკრიპალების გამო რუსეთის წინააღმდეგ მკაცრი სანქციების დამტკიცებას მოითხოვს დიდი ბრიტანეთი. მას არ ეთანხმებიან გერმანია და საფრანგეთი.

ევროკავშირმა გააგრძელა რუსეთის წინააღმდეგ 2014 წელს შემოღებული შეზღუდვები.

ევროპელ ექსპერტებს, რომლებიც ტრამპის მონაწილეობით დადგენილ ანტირუსულ სანქციებს უშედეგოდ და არაეფექტიანად მიიჩნევენ, ამერიკის კონგრესის იმედი აქვთ. მათი აზრით, კრემლისთვის დიდი დარტყმა იქნება რუსეთის ბანკების მოწყვეტა დოლარებით ვაჭრობის სისტემიდან.

ვაშინგტონის სანქციები ემუქრება სამხედრო თვითმფრინავების მწარმოებელ ავიაკონცერნ „სუხოის“. მანამდე ამერიკელი სპეციალისტები შეისწავლიან, მონაწილეობდნენ თუ არა რუსეთის სახელმწიფო კონცერნის გამანადგურებლები სირიაში განხორციელებულ ქიმიურ იერიშებში.

ეფექტური სანქციები რუსეთს ეკონომიკურ და ფინანსურ პრობლემებს მოუმრავლებს. მალე, შესაძლოა, რუსეთმა საქართველოს ოკუპირებული რეგიონები ვეღარ დააფინანსოს.

# რატომ შემცირდა ინვესტიციები მშენებლობის სექტორში 2,2-ჯერ

სამშენებლო კომპანიების შემდეგ პრობლემები სხვა ბიზნესებსაც შეექმნება.

– მშენებლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მე-3 კვარტალში კიდევ უფრო შემცირდება, რაც სამომავლოდ სხვა სფეროებსაც შეეხება, – ასე ეხმაურებიან სამშენებლო სექტორის წარმომადგენლები პრემიერ-მინისტრის, მამუკა ბახტაძის განცხადებას, რომ „მშენებლობის სექტორში გარკვეული შემცირება გვაქვს და დამატებითი ინვესტიციების მოსაზიდად მთავრობას კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა აქვს დაგეგმილი.

თუმცა, კონკრეტულად რას გეგმავს მთავრობა და რამ შეიძლება წაახალისოს ინვესტიციების შემოდინება სამშენებლო სექტორში, პრემიერს ამაზე არ უსაუბრია.

ოფიციალური მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სამშენებლო სექტორში, რომელსაც წლების განმავლობაში ქვეყნის ეკონომიკის ზრდაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წილი უკავია, შემცირდა. კერძოდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2018 წლის მე-2 კვარტალში, წინასწარი მონაცემებით, დარგში 29,1 მლნ დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, მაშინ როცა გასული წლის ანალოგიურ პერიოდში ეს რიცხვი 66,8 მლნ დოლარი იყო.

სამშენებლო ბიზნესის წარმომადგენლები დარგში ინვესტიციების შემცირებას, ძირითადად მშენებლობის ნებართვების გაცემის შეჩერებას უკავშირებენ და აღნიშნავენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება საკითხს არ გადაწყვეტს, მშენებლობის სტატისტიკა კიდევ უფრო დამძიმდება. „ახლა „გაიჭედნენ“ მშენებლები, მერე გაიჭედებიან სარემონტო კომპანიები, შემდეგ იმპორტიორები, ტექნიკისა თუ ავეჯის შემომტანი კომპანიები და ამას ჯაჭვური რეაქცია ექნება, რაც საბოლოო ჯამში ეკონომიკას დაარტყამს. საკმაოდ დიდი საინვესტიციო რესურსები არსებობს, ინვესტორები მზად არიან, შემოვიდნენ და დააბანდონ ფული სამშენებლო სექტორში, მაგრამ იმის გამო, რომ სამშენებლო ნებართვები ფაქტობრივად არ გაიცემა, ინვესტორებიც თავს იკავებენ კაპიტალდაბანდებისგან.

სამშენებლო ნებართვების არგაცემა კი სხვადასხვა ნაბიჯის ერთობლიობამ გამოიწვია. გახსოვთ ალბათ, რომ ამ ხელისუფლების ყველა წინასაარჩევნო დაპირებაში ისმოდა, რომ ქალაქში ქაოტური მშენებლობები შეჩერდებოდა. ასეთი იყო საზოგადოების დაკვეთაც. შესაბამისად, ხელისუფლებამ გადაწყვიტა შეეჩერებინა სამშენებლო ნებართვების გაცემის ქაოტური პროცესი და სანაცვლოდ, ფაქტობრივად არაფერი დაუპირისპირა. ამასობაში დრო გადის, კომპანიებს ფინანსური პრობლემები ექმნებათ, ვილაცები გაკოტრდნენ კიდეც...

ქაოტური პროცესის შეჩერება კარგია, მაგრამ დღეს ვხედავთ, რომ საგანგაშო ვითარება გვაქვს – ფაქტობრივად ახალი პროექტი ვერ იწყება ნებართვების გაუცემლობის გამო. 2,2%-იანი ვარდნა, რაც მე-2 კვარტალში გვქონდა ინვესტიციების თვალსაზრისით, კიდევ უფრო მაღალი იქნება მესამე კვარტალში. ამიტომ, მერიამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და დააბალანსოს პროცესი, რომელიც მშენებლობის ნებართვების გაცემასთან არის დაკავშირებული – სადღაც შეზღუდოს, სადღაც კი დაუშვას, თუნდაც პერიფერიებში. უნდა მივაღწიოთ რომ ნებართვები გაიცეს და ბიუროკრატია შემცირდეს, რადგან ერთი ფანჯრის პრინციპი ირღვევა ბოლო დროს. მშენებლობის გაჩერებას ერთი დღე სჭირდება, ამ პროცესის ხელახლა „დაქოქვას“ კი – რამდენიმე წელი, – აღნიშნავს „ბიზნესპრესთან“ საუბრისას დეველოპერული კომპანია „არსის“ ფინანსური დირექტორი თორნიკე აბულაძე.

მშენებლობის დარგში შექმნილი პრობლემები და ინვესტიციების შემცირება მოულოდნელი არ ყოფილა კომპანია „ბაუსტარის“ დამფუძნებლის მალხაზ სოლომნიშვილისთვის, რომელიც ვითარების კიდევ უფრო გაუარესებას ელოდება.

სოლომნიშვილი აღნიშნულის მიზეზად ასევე სამშენებლო ნებართვების „გაჭედვასა“ და



მთავრობის 41-ე დადგენილების ამოქმედებას უკავშირებს, სადაც საუბარია შენობის უსაფრთხოების მოთხოვნებზე, როგორიცაა გასასვლელების სათანადოდ დაპროექტება, ხანძრისა თუ სხვა საფრთხეებისგან დაცვა, კიბეებისა თუ ლიფტების შესაბამისი წესების დაცვით მოწყობა და ა.შ.

– თუ ვითარება ძირეულად არ შეიცვლება სექტორში, კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა შეიქმნება. ვითარება გასული წლიდან დამძიმდა, რაც ერთი მხრივ, გამოიწვია შეფერხებებმა დარგში. დაახლოებით, 8 თვის განმავლობაში 800 ობიექტზე მშენებლობის ნებართვა შეჩერებული იყო. ამდენ ობიექტზე ნებართვის შეჩერება კი ნიშნავს დაახლოებით, 80 ათასი ადამიანის 8 თვით უმუშევრად დატოვებას. ცალკე საკითხია კიდევ, რატომ ვერ ხერხდება მშენებლობის ნებართვის გაცემა. მეორე მხრივ, ამოქმედდა ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“, რამაც ასევე გარკვეული გავლენა იქონია დარგზე, რადგან ამ დადგენილებამ გამოიწვია უძრავი ქონების გაძვირება და ამ დადგენილების გამოც ფერხდება სამშენებლო ნებართვების გაცემა. თუ ხელისუფლებამ დროულად არ გადადგა სამშენებლო სექტორის ხელშემწყობი ნაბიჯები, არა მხოლოდ ეს დარგი, მთლიანად ეკონომიკა დაზარალდება, – ამბობს სოლომნიშვილი.

# ლიცენზიის მქონე ტაქსებისთვის თბილისის ეკონომიკურად აქტიურ ზონებში საპარკინგე ადგილები უფასო იქნება

ლიცენზიის მქონე ტაქსებისთვის თბილისის ეკონომიკურად აქტიურ ზონებში საპარკინგე ადგილები უფასო იქნება.

როგორც თბილისის მერმა კახა კალაძემ, დედაქალაქის მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, ლიცენზიის მქონე ტაქსებს პარკირების ადგილზე გაჩერება უფასოდ უნდა შეეძლოთ.

კახა კალაძემ საკუთარ მოადგილეებს ამ საკითხის მოგვარება დაავალა და აღნიშნა, რომ „ეს ყველა ევროპულ ქვეყანაში ასეა“.

– მინდა შევეხო ტაქსების ლიცენზირების თემას, დღეის მდგომარეობით, 2 ათასზე მეტი ლიცენზიაა გაცემული. მოვუწოდებ მძღოლებს, იაქტიურონ. ვისაც არ ექნება ლიცენზია, ის დაჯარიმდება 200 ლარით. ასევე, ამ მომსახურების მიმწოდებლებს მინდა ვაცნობო, რომ ქალაქში ვგეგმავთ ეკონომიკურად აქტიურ ზონებში სპეციალური ადგილები გამოვყოთ, სადაც ლიცენზირებულ ტაქსის ექნება შესაძლებლობა გააჩეროს თავისი ავტომობილი ყოველგვარი გადასახადის გარეშე. მინდა დავავალო მაია ბითაძეს და ირაკლი ხმალაძეს, რომ რაც შეიძლება მალე, შეიძლება მეორე ეტაპის ამოქმედებისთვის მოინახოს ქალაქში ეს კონკრეტული ლოკაციები. გამოყავით ადგილები, რომ ლიცენზიის მქონე ტაქსს ჰქონდეს შესაძლებლობა, ამ კონკრეტულ ადგილებში ყოველგვარი გადასახადების გარეშე პარკირების. ეს ევროპის ყველა ქვეყანაში ასეა, – განაცხადა კალაძემ.



# ბექა ნაცვლიშვილი ეთანხმება რომან გოცირიძეს, რომ საქართველომ ხუთ წელიწადში 4.3 მლრდ ლარი დაკარგა



„კომერსანტმა“ დოკუმენტის, „ოცდაორი თეზისი ქვეყნის სავალალო სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის აღსაწერად“, სადაც ციფრებით შეფასებულია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობაზე, შეფასება სთხოვა ფრაქცია „ქართული ოცნება – სოციალ-დემოკრატების“ თავმჯდომარის მოადგილე ბექა ნაცვლიშვილს.

დოკუმენტს, რომელიც ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის რომან გოცირიძის მიერ არის მომზადებული და დასკვნა საკმაოდ მწვავეა, დეპუტატი პოლიტიკური პიარკამპანიისთვის შემქნილს უწოდებს და ამბობს, რომ მიუხედავად დოკუმენტში წარმოდგენილი ციფრების სისწორისა, კონტექსტი მაინც არასწორია.

– მიზნებს არ ვიცნობ, მაგრამ, თუ ეს არის ანალიტიკური დოკუმენტი, მაშინ ძალიან სუსტია, რადგან მთელი ეს უარყოფითი ტენდენციების გამოკვეთა დაფუძნებულია არა ეკონომიკური პროცესების შეფასებაზე, არამედ ლარის დოლართან მიმართებით გაუფასურებაზე.

ერთ სულ მოსახლეზე მშპ ლარში გამოხატული გაზრდილია, მაგრამ დოლართან მიმართებაში შესაძლოა შემცირებული იყოს. ასევე დოკუმენტში საუბარი იყო პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე და წარმატებულ მაგალითად მოყვანილი გახლდათ 2007 წელი. ამ პერიოდში საქართველოს გარდა, მთელს მსოფლიოში დაფიქსირდა ინვესტიციების მოცულობის დიდი მიმოქცევა (3 ტრლნ.-ზე მეტი) და სხვა ქვეყნების ეკონომიკაც იზრდებოდა, ამიტომ ჩვენ არ ვყოფილვართ გამონაკლისი. ზოგადად, ისეა ყველაფერი აგებული ამ დოკუმენტში, რომ უფრო პოლიტიკური პიარკამპანიისთვის გამოსაყენებელი მასალაა, ვიდრე რეალობის ამსახველი, – განმარტავს ნაცვლიშვილი.

მისივე თქმით, აქამდე რა სახითაც შემოედინებოდა საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, უკვე გაჯერებული და ამოწურულია. ახლა საჭიროა სახელმწიფომ სხვა დარგებში, ტექნოლოგიასა და განათლებაში განახორციელოს ინვესტირება, რათა უფრო მაღალი ხარისხის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოიზიდოს.

დოკუმენტის შეფასებისას კი ბექა ნაცვლიშვილი კიდევ რამდენიმე საკითხზე ამახვილებს ყურადღებას. მათ შორის საბანკო სექტორსა და ზოგად მძიმე სოციალურ ფონზე.

– დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ მთავრობა კომერციულ ბანკებს ამდიდრებს. რეალურად მოხდა ის, რომ დოლარში აღებულმა სესხებმა და შემდეგ ლარის გაუფასურებამ მოქალაქეების განკარგვადი შემოსავალი შეამცირა და დაეცა მსყიდველუნარიანობა, თუმცა მოსახლეობაში ფულის რაოდენობა რეალურად გაზრდილია. ნაციონალური მოძრაობა ამ დოკუმენტის სახით უბრალოდ ციფრებით მანიპულირებს და მეტი არაფერი. უარყოფით მოვლენებზე აკეთებს აქცენტს. ბანკებთან მიმართებაში რეალურად პრობლემაა ის, რომ მოსახლეობა პირველადი მოხმარებისთვისაც ხშირად სესხებს იღებს, რადგან ხელფასებია დაბალი. არ ვამბობ, რომ გადასარევი სიტუაციაა, მაგრამ ვითარების უმიზეზოდ დამძიმება არ ღირს, – აღნიშნავს დეპუტატი.

რაც შეეხება ზოგადად მძიმე სოციალური ფონის დასტაბილურებასა და სიტუაციის გაუმჯობესებას, ფრაქცია დეპუტატი გამოსავალს რამდენიმე მიმართულებაში ხედავს. ესენია : გადანაწილების პოლიტიკა, პროგრესული დაბეგვრის სისტემის შემოტანა (მაღალშემოსავლიანები პროპორციულად უფრო მეტს გადაიხდიან, ვიდრე დაბალშემოსავლიანები) და ამ უკანასკნელზე დაფუძნებული საპენსიო სისტემა. შემდეგ კი აკუმულირებული თანხის აქტიური ეკონომიკური სახელმწიფო პოლიტიკის წარმოება.

– გამოსავალი არის მრეწველობის ინვესტირებაში. საჭიროა ისეთი ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს შრომითი ინტენსიური დარგების განვითარებას. ამ სფეროში საქმდება ყველაზე მეტი ადამიანი და იქმნება ყველაზე მეტი დამატებითი ღირებულება. ასევე საჭიროა სოფლის მეურნეობაშიც მეტი ინვესტირება. პროცესები უკვე დაწყებულია და ეს ყველაფერი საბოლოოდ, ვითარებას ბევრად გააუმჯობესებს. აქვე ბანკებზე ვიტყვი კიდევ ერთ რამეს, დღეს ძირითადად გადაწყვეტილებები დაფუძნებულია მათ შეფასებებზე, ანუ ბანკების გავლით მიედინება ფული. რასაც ისინი იტყვიან, ისე ვითარდება მოვლენებიც. არადა, საჭიროა სახელმწიფო იყოს მიმართულებების განმსაზღვრელი, – აღნიშნავს ბექა ნაცვლიშვილი.

შეგახსენებთ, დეპუტატმა რომან გოცირიძემ „კომერსანტს“ მიაწოდა პარტიის მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც ციფრებში ასახავს 2012 წლიდან მოყოლებულ ვითარებას დღემდე. პერიოდში შედარებულია 2012 წლამდე არსებულ მდგომარეობასთან.

# ეკონომიკის მინისტრის შთამბეჭდავი ქონება – ფასიანი ქაღალდები „საქართველოს ბანკში“ და უძრავი ქონება მოსკოვსა და საქართველოში



გიორგი ქობულია ეკონომიკის მინისტრის პოსტს მიმდინარე წლის ივლისიდან იკავებს, მანამდე კი საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია McKinsey-ში მუშაობდა.

კერძოდ კი კომპანიაში იკავებდა უფროსი პარტნიორის პოსტს McKinsey-ის მოსკოვის ოფისში, სადაც საერთაშორისო მასშტაბით სხვადასხვა კომპანიას უწევდა კონსულტირებას.

მიმდინარე წლის 11 სექტემბერს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, გიორგი ქობულია ფლობს, 55 კვადრატული მეტრი ფართობის ბინას დიდველში, რომლის 50% მას, 25%-25%-იანი წილები კი მის შვილებს ეკუთვნით; 3,5 კვ. მეტრის არასაცხოვრებელ ფართს მოსკოვში, რომლის 50%-50%-იან წილებს ის და მისი მეუღლე ფლობენ და რომელიც 2018 წელს 700.000 რუსულ რუბლად აქვს შეძენილი.

მის საკუთრებაშია ასევე: მოსკოვში 125,5 კვ. მეტრის ბინისა და 14,2 კვ. მეტრის ავტოფარეხის (მათი 50%-იანი წილები ასევე მინისტრის მეუღლეს ეკუთვნის) სოფელ ბეთანიაში 259 კვ. მეტრის საცხოვრებელი სახლისა და 1.331 კვ. მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთის 50%-იანი წილები.

გარდა ამისა, გიორგი ქობულია ფლობს 600 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთს სოფელ ბეთანიაში; 275,62 საცხოვრებელ სახლსა და 1.036 კვ. მეტრის მიწის ნაკვეთს წყნეთში; 212,73 კვ. მეტრისა და 155,59 კვ. მეტრი ფართობის ორ ბინას თბილისში; ასევე დედაქალაქში მდებარე 14,56 კვ. მეტრის, 21,06 კვ. მეტრისა და 14,04 კვადრატული მეტრის ფართობის ავტოსადგომებს. მასვე ეკუთვნის მსუბუქი ავტომობილები – „პორშე პანამერა ჯტს“, „ტოიოტა ლენდკრუიზერი“ და „მერსედესი E kupe“.

როგორც ქონებრივ დეკლარაციაშია აღნიშნული, ქობულია ფლობს „ჯორჯია კაპიტალის“ 600 ობლიგაციას, რომელიც 2018 წელს 592.620 დოლარად შეიძინა; „საქართველოს ბანკის“ 25 სტრუქტურირებულ ნოტას (ფასიანი ქაღალდის სახეობა) რომელიც 2017 წელს 250.000 ევროდ შეიძინა; „ნორზერნ ტრასტის“ 72.859 აქციას, რომელიც 2016 წელს 2.474.970 ევროდ აქვს ნაყიდი და 46.231 აქციას, რომელიც ასევე 2016 წელს შეიძინა 3.931.675 დოლარად.

მის საკუთრებაშია ასევე საქართველოს სალიზინგო კომპანიის 551 ობლიგაცია, რომელიც 2017 წელს 551.000 დოლარად შეიძინა; „ემ კვადრატის“ 60 ობლიგაცია, რომელიც 2016 წელს აქვს 60.000 დოლარად შეძენილი და „მაკკინზი და კომპანიის“ 643 აქცია.

რაც შეეხება მის ფინანსურ მდგომარეობას, დეკლარაციის შევსების მომენტში სხვადასხვა საბანკო ანგარიშზე ქობულიას – 580,226.05 დოლარი; 642,273.34 ევრო; 270,888.67 რუბლი; 204,041.26 გირვანქა სტერლინგი; 11,683.31 ლარი; ხოლო ნაღდი ფულადი თანხის სახით 15 000 ევრო ჰქონდა.

გიორგი ქობულიას ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. დეკლარაციის შევსების მომენტში მის მეუღლეს საბანკო ანგარიშებზე 21.016.42 ევრო; 41.000.48 დოლარი; 57,52 გირვანქა სტერლინგი; 92,34 ლარი და 6.125 რუბლი ჰქონდა.

# ობლიგაციების ბაზარზე ზედაზენი და ლისი დეველოპმენტი შედის



„თიბისი კაპიტალი“ ობლიგაციების მორიგ, 2 მსხვილი ემისიის პროსპექტზე მუშაობს, „ზედაზნისა“ და „ლისი დეველოპმენტის“.

დეველოპერისთვის სავალუტო ბონდების, სასმელების კომპანიისთვის კი ლარის ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების გეგმაზე „თიბისი კაპიტალის“ დირექტორმა ირაკლი ელაშვილმა, „ნიკორა ტრეიდის“ 25 მლნ-იანი წარმატებული ემისიის პრეზენტაციაზე განაცხადა.

მან ლარის ამ საჯარო შეთავაზების მნიშვნელობაზე აღნიშნა, რომელიც EBRD-ის 1/3 თანამონაწილეობის ნიშნითაც აღსანიშნავია, რაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მაღალ ნდობაზე მიანიშნებს.

მისი თქმით, „თიბისი კაპიტალის“ ფინანსური რჩევები „ნიკორასთვის“ წარმატებული აღმოჩნდა. საინვესტიციო ბანკმა კომპანიას დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირება და სავალუტო კურსების დაზღვევა ურჩია „დავარწმუნეთ რომ ლარის ობლიგაციები გამოეშვა“.

ლარის ობლიგაციებით „ნიკორამ“ სავალუტო ბონდები დახურა, რომელიცG&T-ის შუამავლობით ჰქონდა განთავსებული (არასაჯარო შეთავაზება).

# ავტოტრანსპორტით ხორბლის შემოტანის აკრძალვის ვადამ პირველ ოქტომბრამდე გადაიწია



ავტოსატრანსპორტო საშუალებით ხორბლის შემოტანის აკრძალვის ვადამ მიმდინარე წლის პირველ ოქტომბრამდე გადაიწია. ამის შესახებ პირველ არხს ფინანსთა სამინისტროდან აცნობეს.

უწყების ინფორმაციით, სამინისტრომ ეს გადაწყვეტილება ავტოტრანსპორტით ხორბლის გადამზიდავი მეწარმეებისა და მძღოლების თხოვნის გათვალისწინებით მიიღო.

– საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინა ავტოტრანსპორტით ხორბლის გადამზიდავი მეწარმეებისა და მძღოლების თხოვნა და 2018 წლის პირველ ოქტომბრამდე გადაავადა ფინანსთა მინისტრის ბრძანების ამოქმედება, რომლის მიხედვითაც ავტოსატრანსპორტო საშუალებით ხორბლის ან ხორბალ-ჭვავის ფქვილის შემოტანა-გატანა ქვეყნის საბაჟო ტერიტორიის გავლით ცალკეულ შემთხვევაში დასაშვები ხდება მხოლოდ ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თანხმობით. სხვა შემთხვევაში კი, აღნიშნული საქონლის ექსპორტ-იმპორტი შესაძლებელია მხოლოდ სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტით, შესაბამისი საბაჟო-გამშვები პუნქტების გავლით, – ნათქვამია ფინანსთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

აკრძალვა ძალაში 15 სექტემბრიდან უნდა შესულიყო.

1TV

# ვინ არიან საქართველოს რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები



ლევან ყიფიანმა „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭო დატოვა. ამის შესახებ ყიფიანმა საკუთარFacebook გვერდზე დაწერა.

– შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭო. მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის, გისურვებთ წარმატებას, – წერს ლევან ყიფიანი.

ყიფიანი რკინიგზაში 2016 წლიდან მუშაობდა.

საქართველოს რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს წესდების მიხედვით, საბჭოს წევრების რაოდენობა განსაზღვრულია 10 ადამიანით. როგორც საქართველოს რკინიგზაშიBMG-ს განუცხადეს, ამ დროისთვის საბჭოს შემადგენლობაში არიან: კოკა გუნცაძე, მიხეილ გოგიშვილი, გურამ გაბუნია, ლევან სურგულაძე, ოლეგ ბიჭიაშვილი, სტენლი კლიფორდ აიზეკი.

ბმ.გე

# ფინანსთა მინისტრი „ომეგა ჯგუფზე“: „კეთილი ინებონ და ბიუჯეტში დავალიანება გადაიხადონ“



კეთილი ინებონ და ბიუჯეტში დავალიანება გადაიხადონ, – ასე ეხმაურება საქართველოს ფინანსთა მინისტრი ივანე მაჭავარიანი ტელეკომპანია „იბერიასთან“ დაკავშირებით გავრცელებულ ჩანაწერებს.

მინისტრის თქმით, ბიუჯეტში დავალიანება კომპანიამ აუცილებლად უნდა გადაიხადოს.

– ბიუჯეტში დავალიანება უნდა გადაიხადონ, გინდ ვიდეო ჰქონდეთ, გინდ აუდიო. ერთადერთი, რასაც ვადასტურებ არის დავალიანება ბიუჯეტთან, რომელიც 3 წლის განმავლობაში იზრდებოდა და ეს უნდა გაჩერებულიყო. კეთილი ინებონ და გადაიხადონ, – განაცხადა მაჭავარიანმა.

შეგახსენებთ, რომ ტელეკომპანია „იბერია“ მაუწყებლობის საგანგებო რეჟიმზეა გადასული. არხის თანამშრომლები და ხელმძღვანელობა ხელისუფლებას ზეწოლასა და ტელევიზიის დახურვის მცდელობაში ადანაშაულებენ. მათი განცხადებით, ხელისუფლება ფინანსურ პრობლემებს უქმნის კომპანია „ომეგას“, რომელიც არხს ფინანსურად უზრუნველყოფს.

ცნობისთვის, ლევან ყიფიანისა და ზაზა ოქუაშვილის სავარაუდო საუბრის აუდიოჩანაწერთან დაკავშირებით თბილისის პროკურატურამ გამოძიება დაიწყო. საუბარია იმ აუდიოჩანაწერზე, სადაც, სავარაუდოდ, სპორტის ყოფილი მინისტრი ლევან ყიფიანი და ტელეკომპანია „იბერიის“ დამფუძნებელი ზაზა ოქუაშვილი ფიგურირებენ.

# კანაფთან დაკავშირებული საქმიანობის ლიცენზიის ღირებულება 25 ათასი ლარი იქნება

კანაფის ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული საქმიანობის ლიცენზიის ღირებულება – 25 ათასი ლარი იქნება. მთავრობის ინიციატივით, საქართველოს ტერიტორიაზე კანაფის დათესვა, მოყვანა, კულტივირება, გადამუშავება, გადაზიდვა და ექსპორტი, ასევე კანაფის შემცველი პარფიუმერულ-კოსმეტიკური და ფარმაცევტული პროდუქციის წარმოება და ექსპორტი სალიცენზიო საქმიანობა ხდება.

ამ მიმართულებით ცვლილებები „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ კანონში ხორციელდება, რომლითაც დგინდება აღ-



ნიშნული საქმიანობებისათვის სალიცენზიო მოსაკრებლის ოდენობა.

კანაფის ლეგალურ ბრუნვასთან დაკავშირებული საქმიანობის ლიცენზიები 25 ათასი ლარის ოდენობით არის განსაზღვრული. კერძოდ:

სამედიცინო მიზნით მცენარე კანაფის დათესვის, მოყვანისა და კულტივირების ლიცენზია – 25.000 ლარი;

სამრეწველო მიზნით მცენარე კანაფის დათესვის, მოყვანისა და კულტივირების ლიცენზია – 25.000 ლარი;

სამედიცინო მიზნით მცენარე კანაფის გადამუშავების ლიცენზია – 25.000 ლარი;

სამრეწველო მიზნით მცენარე კანაფის გადამუშავების ლიცენზია – 25.000 ლარი;

მცენარე კანაფის/გადამუშავებული მცენარე კანაფის ან/და მისგან დამზადებული პროდუქციის გადაზიდვის ლიცენზია – 25.000 ლარი;

მცენარე კანაფის შემცველი პარფიუმერიულ-კოსმეტიკური პროდუქციის წარმოების ლიცენზია – 25.000 ლარი;

მცენარე კანაფის შემცველი ფარმაცევტული პროდუქციის წარმოების ლიცენზია – 25.000 ლარი;

სამედიცინო მიზნით გადამუშავებული მცენარე კანაფის ან/და მცენარე კანაფის შემცველი ფარმაცევტული პროდუქციის ექსპორტის ლიცენზია – 25.000 ლარი;

სამრეწველო მიზნით გადამუშავებული მცენარე კანაფის ან/და მცენარეკანაფის შემცველი პარფიუმერიულ-კოსმეტიკური პროდუქციის ექსპორტის ლიცენზია – 25.000 ლარი;

სამრეწველო ან/და სამედიცინო მიზნით მცენარე კანაფის თესლის ან/ნერგის იმპორტის ლიცენზია – 25.000 ლარი.

საკანონმდებლო პაკეტი შს სამინისტრომ მოამზადა.

იპნ

## გორში მომხდარ ავარიას შუახნის მამაკაცი ემსხვერპლა




შუახნის მამაკაცი ემსხვერპლა ავტოსაგზაო შემთხვევას გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხელთუბანში. როგორც „ნიუპოსტის“ კორესპონდენტი იტყობინება, მამაკაცს „მერსედესის“ მარკის ავტომობილი დაეჯახა. მოქალაქე ადგილზე გარდაიცვალა.

„ნიუპოსტი“ შინაგან საქმეთა სამინისტროსაც დაუკავშირდა. უწყებაში აცხადებენ, რომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276 მუხლის მე-5 ნაწილით მომდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

## ინციდენტი რუსთავის სკოლაში

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, მცირე ინციდენტი მოხდა რუსთვის მე-7 საჯარო სკოლაში.

გამოცემის ცნობით, მაშინ, როდესაც მშობლები საკლასო ოთახებს ალაგებდნენ, ერთ-ერთი მშობელი მაგიდიდან გადმოვარდა და დაშავდა.



როგორც „ინფო რუსთავთან“ სკოლის დირექტორმა ლია ჯღარკავამ განაცხადა, ახალი სასწავლო წლის მზადებასთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასუფთავების სამუშაოები მიმდინარეობდა, რომელშიც ნებაყოფლობით ჩაერთნენ მშობლები, ინციდენტი კი მაშინ მოხდა, როდესაც მშობელი მაგიდაზე იყო ასული და კედელს წმენდდა. ქალბატონი დაბეჟილობებით ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც აღმოჩნდა, რომ მას ნეკნის მოტეხილობა აქვს. პაციენტი ამ დროისთვის მკურნალობის კურსს გადის.

## რუსთავში ახალგაზრდა მამაკაცი მეხუთე სართულიდან გადმოვარდა

რუსთავში 27 წლის მამაკაცი საცხოვრებელი კორპუსის მეხუთე სართულიდან გადმოვარდა. დაშავებული რუსთავის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადამ კლინიკა „რუსთავში“ გადაიყვანა. მამაკაცს მრავლობითი მოტეხილობები აღენიშნება.

## ავარია ტყიბულში — ერთი გარდაცვლილი და 9 მძიმედ დაშავებული

ქალაქ ტყიბულში სამგზავრო მიკროავტობუსი ამოტრიალდა.

შემთხვევის შედეგად ერთი ქალი ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო მძიმედ დაშავდა 9 პირი, რომლებიც საავადმყოფოშია არიან გადაყვანილი. „ნიუპოსტი“ დეტალებს შინაგან საქმეთა სამინისტროში არკვევს.

## თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად გაგა კირკიტაძე დაინიშნა

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ პოლიციის დეპარტამენტების ახალი დირექტორები წარადგინა. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორად გაგა კირკიტაძე დაინიშნა, რომელიც აქამდე ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა.

ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობა კი გაგა კირკიტაძის ნაცვლად ლაშა გოგნიაშვილმა დაიკავა.

# პროკურატურა ლევან ყიფიანს 17 სექტემბერს, ზაზა ოქუაშვილს კი თბილისში ჩამოსვლისთანავე გამოკითხავს



საქართველოს მთავარი პროკურატურა სპორტის ყოფილ მინისტრს და ამჟამად „საქართველოს რკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, ლევან ყიფიანს 17 სექტემბერს, ხოლო ტელეკომპანია „იბერიას“ დამფუძნებელ ზაზა ოქუაშვილს თბილისში ჩამოსვლისთანავე გამოკითხავს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ მთავარ პროკურატურაში განუცხადეს, ლევან ყიფიანი და ზაზა ოქუაშვილი ფარულ აუდიო-ჩანაწერთან დაკავშირებით გამოკითხვაზე არიან დაბარებული.

– რაც შეეხება ჩანაწერს, რა თქმა უნდა, გამოძიება ამ ჩანაწერით დაინტერესდება. რამდენიმე დღის წინ და დღეს გავრცელებული ჩანაწერები ერთიან კონტექსტში განიხილება. ამასთან, მედია საშუალებებში უკვე გავრცელებული ჩანაწერები გამოთხოვილია ტელევიზიებიდან. რაც შეეხება გამოკითხვებზე დაბარებას, ლევან ყიფიანი და ზაზა ოქუაშვილი გამოკითხვაზე არიან გამოძახებული. ლევან ყიფიანი, რომელიც ამჟამად თბილისში არ იმყოფება, 17 სექტემბერს გამოცხადდება საგამოძიებო ორგანოში, ხოლო ზაზა ოქუაშვილმა გამოთქვა მზადყოფნა ითანამშრომლოს გამოძიებასთან, როგორც კი თბილისში დაბრუნდება, – აცხადებენ პროკურატურაში.

„კურიერმა“ „იბერიას“ საქმეზე მორიგი ფარული ჩანაწერი გაავრცელა. ჩანაწერის მიხედვით, სავარაუდოდ, საქართველოს რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ლევან ყიფიანი და „ომეგა ჯგუფის“ მფლობელი ზაზა ოქუაშვილი საუბრობენ. აუდიოჩანაწერში საუბარია სამ მილიონზე, რომლიდანაც ნაწილი ბიუჯეტში უნდა შეიტანონ, ნაწილი კი კონტრიბუციის სახით უნდა გადაიხადოს „ომეგა ჯგუფმა“.

– ლევან ყიფიანი – ესე იგი ხო გითხარი, ჩარეული ჰყავთ ანზორი, ანზორი არის ბიძინას დაცვის უფროსი იყო ერთ-ერთი არასაუწყებო დაცვის... ავტორიტეტია რა ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, ის კაცი იძახის რო, კიდე გამიმეორა მაგათი გაჩერება რომ ნდომებოდათო აქამდე გაჩერდებოდაო ქარხანა პროსტა პრინციპულადო. ახალი პრემიერი მოსულია, უნდობლობა გაიჩითაო კომპანიას შორისო ის დარჩაო... რა, კუდებიო... ქუმსიშვილის კუდიო რალაცაო... ეს სიტუაცია იმდენად არეული არიო რო ნდობის პონტშიო... მე ვუთხარი მაგიტომ ჩავერიეო რომ ნდობის მომენტი აღდგეს მეთქი რა. ბიუჯეტში შევიტანოთ მილიონი.

ზაზა ოქუაშვილი – ერთი მილიონი და ორნახევარი მილიონი მთლიანად.

ლევან ყიფიანი – ხო

ზაზა ოქუაშვილი – მარა სამმილიონ ნახევარი დარჩა კონტრიბუშენი მაინც. ეს კონტრიბუშენი?...

ლევან ყიფიანი – ფული უნდა გავანაწილოთ რა... ფულზე, ანზორაზე, ჩემი მეგობარია და...

ზაზა ოქუაშვილი – ვინ არის ეს ანზორი ესე იგი თავდაცვის უფროსი, ივანიშვილის.

ლევან ყიფიანი – რომელიც გვბალეშიკობს ჩვენ. დაცვის უფროსი იყო, იყო...ეხლა სახელმწიფო დაცვის უფროსია რა... მაგას ეხება აეროპორტების დაცვები ისა ისა... რა. მინისტრია რა.

ზაზა ოქუაშვილი – მინისტრია.

ლევან ყიფიანი – მთელი სახელმწიფო დაცვები მაგის ხელშია“, – ნათქვამია „კურიერის“ მიერ გავრცელებულ ჩანაწერებში.

# 4 ნარკორეალიზატორი დააკავეს

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტის და სასაზღვრო გამშვები პუნქტი „სადახლოს“ მიმდებარე ტერიტორიებზე ირანის 4 მოქალაქე ნარკოდანაშაულისთვის დააკავეს.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსმა მამუკა ჭელიძემ განაცხადა, პოლიციამ დაკავებულებისგან 290 შეკვრად დაფასოებული 939 გრამი ჰეროინი ამოიღო. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტებზე მიმდინარეობს.

– თბილისში ნარკოდანაშაულისთვის ირანის კიდევ ერთი მოქალაქეა დაკავებული, რომლის პირადი ჩხრეკისას ამოღებულია 21 გრამი ჰეროინი და სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალების 105 აბი.

ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის 4 პირი დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულების საცხოვრებელი სახლების ჩხრეკისას 9 შეკვრად დაფასოებული ჰეროინი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო ვაზნები ნივთმტკიცებად ამოიღეს. გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და ნარკოტიკების არაერთგზის უკანონო გასაღების, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე მიმდინარეობს.

ასევე, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, აჭარაში ორი პირია დაკავებული. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, დაკავებულების პირადი ჩხრეკისას, 232 აბი „სუბოქსინი“, 8 შეკვრად დაფასოებული ჰეროინი და სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე მიმდინარეობს.

ნარკოდანაშაულისთვის კიდევ ერთი პირია დაკავებული ბათუმში. შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის და შემოსავლების სამსახურის თანამშრომლებმა იგი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 180 აბი მეტადონის მარილის შემცველი ნარკოტიკული საშუალება ამოიღო.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აგვისტოს თვეში ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის პასუხისგებაში მისცა 189 პირი, მათ შორის 14 ნარკორეალიზატორი, – განაცხადა ჭელიძემ.

## ბორჯომის რაიონში თანასოფლელის დაჭრისთვის ბრალდებულს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის ბრალდებულს 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს პროკურატურიდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, ახალციხის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და სიცოცხლისთვის სახიფათო ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ჩადენის ფაქტზე, ბრალდებული ზ.თ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 8 თებერვალს, ბორჯომის რაიონის სოფელ საკირეში, ზ.თ.-მ სრულიად უმიზეზოდ, გულმკერდის არეში დანის დარტყმით, თანასოფლელ ს.ს.-ს სიცოცხლისთვის სახიფათო, სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დროული სამედიცინო ჩარევის შედეგად, ს.ს.-ს სიცოცხლე შეუნარჩუნდა.

სამართალდამცავებმა ზ.თ. 2018 წლის 11 თებერვალს ქალაქ ხაშურში დააკავეს. მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ გ“ ქვეპუნქტით (ხულიგნური ქვენა გრძნობით, სიცოცხლისთვის სახიფათო ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის) წარედგინა და აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.




## ქობულეთში ავარიისას ერთი ადამიანი გარდაიცვალა, სამი კი დაშავდა

ქობულეთში მსუბუქი ავტომობილი ხეს შეეჯახა. შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა, სამი კი დაშავდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის, 276 მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

## თბილისში წინასწარი დაკავების ახალი იზოლატორი აშენდება

თბილისში წინასწარი დაკავების ახალი იზოლატორი აშენდება. როგორც „ინტერპრესნიუსის“ მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილ ინფორმაციაშია ნათქვამი, დროებითი მოთავსების იზოლატორის მშენებლობა ავჭალაში მოხდება, რაზეც 4 მილიონზე მეტი დაიხარჯება.

მათივე ინფორმაციით, ავჭალის ქუჩაზე დროებითი მოთავსების იზოლატორის მშენებლობასთან დაკავშირებით ტენდერი დღეს გამოცხადდა. მშენებლობასთან დაკავშირებით ელექტრონული ტენდერი აუქციონის გარეშეა გამოცხადებული და სამუშაოების შესრულების ვადა ხელშეკრულების გაფორმებიდან 365 დღეა. სატენდერო წინადადებების მიღება მიმდინარე წლის 19 სექტემბერს დასრულდება.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 4.255.555 ლარია. ამასთან, შეთავაზების ფასის კლების ბიჯი 40.000 ლარია, ხოლო გარანტიის ოდენობა 42.556 ლარი. გარანტიის მოქმედების ვადა კი დაახლოებით 5 თვეა.

საგარანტიო ვადა შესრულებულ სამუშაოებზე და გამოყენებულ მასალებზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 წელი, დანადგარებზე და აგრეგატებზე 2 წელი, ბეტონის კონსტრუქციებზე 25 წელი, ხოლო, სახურავის ვარგისიანობაზე 7 წელია.

# რუსეთი იაპონიას კურილებს არ უბრუნებს



დასრულდა შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტსა და იაპონიის პრემიერ სინძიო აბეს შორის. სამშვიდობო შეთანხმება რუსეთ-იაპონიას შორის ვერ დაიდო. მიზეზი კვლავ კურილის კუნძულებია, რომლებსაც იაპონელები თავისად თვლიან.

ვლადიმერ პუტინმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ იაპონიასთან მჭიდრო ურთიერთობების მომხრეა. საუბარია შორეულ აღმოსავლეთში იაპონური ინვესტიციების გაზრდაზე და ა.შ. ამავე დროს პუტინმა ხაზი გაუსვა იმასაც, რომ კურილებს რუსეთის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს.

იაპონიის პრემიერი იმ პოლიტიკოსთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებისაკენ მოუწოდებენ. დიდი შვიდეულის შეხვედრებზე აბე ფრთხილად შენიშნავდა ხოლმე, რომ რუსეთთან მიმართებაში ახალი მიდგომაა აუცილებელი. თავის წინასაარჩევნო პროგრამაში ის ამომრჩეველს რუსეთთან დაახლოებას და კურილების პრობლემის მოგვარებას ჰპირდებოდა.

საბჭოთა კავშირმა კურილების ანექსია ჯერ კიდევ 1945 წელს მოახდინა. ამ მიზეზით რუსეთ-იაპონიას შორის სამშვიდობო შეთანხმება დღემდე არ არის ხელმოწერილი. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ აბე თავისი პროგრამის განხორციელებას შეეცადა. ის პუტინს არაერთგზის შეხვდა, რუსეთისადმი კეთილგანწყობის დემონსტრირებაც მოახდინა. მიუხედავად ამისა, რუსეთთან შეთანხმება ვერ მოხერხდა. მიზეზი ვლადიმერ პუტინის პოზიციაა.

რუსი პოლიტოლოგი და ექსპერტი იაპონიის საკითხებში გოლოვკინი აცხადებს, რომ ვლადივოსტოკის შეხვედრა აბეს სერიოზული დიპლომატიური მარცხია. კურილების პრობლემის გადაწყვეტა ვერ მოხერხდა. პუტინმა კატეგორიულად განაცხადა, რომ ამ საკითხს დახურულად მიიჩნევს.

— სანამ პუტინი ხელისუფლებაში იმყოფება, რუსეთთან საერთო ენის გამოძებნა შეუძლებელია, — ამბობს გოლოვკინი.

ექსპერტის აზრით, აბეს მარცხს გამოიყენებენ როგორც იაპონიის პრემიერის ოპონენტები მმართველ პარტიაში, ასევე საპარლამენტო ოპოზიციაც. ნებისმიერ შემთხვევაში იაპონელი პოლიტიკოსები გაცილებით ნაკლები ენთუზიაზმით მოეკიდებიან რუსეთთან საერთო ენის გამოძებნის თემას, ვიდრე დღეს.

ვიტალი პორტნიკოვი თავის მხრივ მიიჩნევს, რომ პრობლემას წარმოადგენს არა მხოლოდ პუტინი, არამედ რუსეთი, სადაც შოვინისტური აზროვნება ძლიერია. იმპერიულ-შოვინისტურმა კურსმა მოსკოვი ჩიხში შეიყვანა. რუსეთი გაიჭედა სირიაში, უკრაინაში და მოსკოვის მიმართ სანქციებიც ძლიერდება. დანაკარგი, რომელსაც კრემლი განიცდის, დიდია. შესაბამისად, აღნიშნული კურსი მაქსიმუმ 2-3 წელს შეიძლება გაგრძელდეს. ამის შემდეგ რუსეთი დადგება ალტერნატივის წინაშე: ან შიდა შფოთი, ან გარდაქმნები. ეს უკანასკნელი კი საგარეო პოლიტიკაში კომპრომისების გარეშე შეუძლებელია, ანუ მეორდება ის, რაც „პერესტროიკის" დაწყების წინ იყო. მაშინ საბჭოთა კავშირი ავღანეთში, ნიკარაგუაში, ანგოლაში, კამბოჯაში „გაიჭედა" და იძულებული შეიქმნა, რეფორმებზე წასულიყო.

— სანამ რუსეთის ამჟამინდელი კურსი არ შეიცვლება, მოსკოვთან დიალოგს აზრი არ აქვს. იაპონია-რუსეთის შეთანხმებაც ვერ მოხერხდება, — თვლის პორტნიკოვი.

## აშშ ნოემბერში რუსეთის წინააღმდეგ ახალ სანქციებს შემოიღებს

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა სოლსბერიში მომხდარ მოწამვლასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა.

მასში ნათქვამია, რომ ნოემბერში შესაძლოა რუსეთის მიმართ სანქციების ახალი პაკეტი შემოიღონ. აშშ ამისგან მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიკავებს თავს, თუ რუსეთი აიღებს ვალდებულებას, რომ ქიმიურ იარაღს არ გამოიყენებს და ამერიკელ სპეციალისტებს რუსეთის ლაბორატორიებში დაუშვებს.

— მსოფლიომ რუსების თვითნებობა არ უნდა მოითმინოს! — ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.




## ლავროვი: „რუსეთი ამერიკასთან დიალოგისთვის მზადაა!"



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ამერიკასთან დიალოგისთვის მზადაა.

— რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობები ჩიხშია შესული! ასე გაგრძელება დაუშვებელია! რუსეთი ამერიკასთან დიალოგისთვის მზადაა, — თქვა ლავროვმა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დადებითად შეაფასა დონალდ ტრამპის მისწრაფება, მიეღწია რუსეთთან შეთანხმებისათვის, მაგრამ ამას ხელს უშლის ამერიკული პოლიტელიტა.

— სამწუხაროდ, ამერიკულ პოლიტელიტაში ანტირუსული განწყობები ძლიერია, — ამბობს ლავროვი.

## კურტ ვოლკერი პეტრო პოროშენკოს შეხვდა

უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო აშშ-ის პრეზიდენტის რწმუნებულს დონბასის კონფლიქტის მოგვარების საკითხში კურტ ვოლკერს შეხვდა.

მხარეებმა უკრაინულ-ამერიკული ურთიერთობების, აგრეთვე რუსეთის მიმართ სანქციების გაგრძელების პერსპექტივები განიხილეს.

ვოლკერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ აშშ-ში უკრაინისადმი მხარდაჭერა ძლიერდება. რუსეთის მიმართაც ახალი სანქციები იქნება შემოღებული.

პოროშენკომ მადლობა გადაუხადა ამერიკელ სტუმარს იმ წვლილისთვის, რაც აშშ-მ უკრაინული არმიის გაძლიერებაში შეიტანა. პოროშენკომ გამოთქვა იმედი, რომ უკრაინა-აშშ-ის თანამშრომლობა კიდევ უფრო მჭიდრო გახდება.



## კალეიდოსკოპი

### ამერიკელი მომაკვდავ კატას მოეფერა და სახიფათო დაავადება შეეყარა

ამერიკელმა მამაკაცმა მომაკვდავ კატას ხელი გადაუსვა და სიცოცხლისთვის მეტად საშიში დაავადება შეეყარა.



მისურის შტატის მცხოვრებმა ექიმებს ყელის არეში გაჩენილი კვანძების გამოჩენიდან მხოლოდ ორი თვის შემდეგ მიმართა. 68 წლის მამაკაცს მთელი კვირა სიცხე არ უწევდა და ბოლოს გადაწყვიტა, ექიმისთვის მიემართა.

სისხლის ანალიზმა აჩვენა, რომ მას იშვიათი დაავადება — ტულიარემია ჰქონდა. მას განუცხადეს, რომ ყელის არეში გამობერილი ადგილები ლიმფური კვანძების ანთება იყო.

ექიმები ვარაუდობენ, რომ მამაკაცი ტულიარემიით კატისგან დაავადდა, რომელიც მისთვის დაავადების სიმპტომების გამოვლენამდე ორი დღით ადრე მოკვდა. პაციენტის თქმით, მისი შინაური ცხოველი „კატის ლეიკემიისგან" დაიღუპა, თუმცა ვეტერინარს მისთვის ანალიზები არ აუღია. კატას ოთხი კვირა უშედეგოდ მკურნალობდნენ კიბოს საწინააღმდეგო წამლებით.

მამაკაცი ანტიბიოტიკებით ერთთვიანი მკურნალობის შემდეგ სრულად გამოჯანმრთელდა.

ქ. ხ.

### ტაილანდელი საკუთარი დასაფლავებიდან ორი წლისთავზე სახლში დაბრუნდა

19 წლის წინ უგზო-უკვლოდ დაკარგული ტაილანდელი საკუთარი დასაფლავებიდან ორი წლის შემდეგ სახლში დაბრუნდა.

1999 წელს იმ მომენტისთვის 31 წლის სომსუკ სომინი მშობლიური სურინის პროვინციიდან ქვეყნის დედაქალაქში მეზობელთან ერთად სამუშაოდ გაემგზავრა, თუმცა მალევე მეზობელმა გაუნათლებელი თანამგზავრი დიდ ქალაქში მარტო მიატოვა. მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში მამაკაცი ფულის გამომუშავებას ძირითადად მშენებლობებზე მუშაობით ახერხებდა.

2015 წელს მეგობარმა მეთევზემ სომინს პხუკეტში მუშაობა შესთავაზა. ის დათანხმდა, ადგილზე მისულს კი ახალმა უფროსმა მას ყველა საბუთი ჩამოართვა. იმის ნაცვლად, რომ მას თევზები დაეჭირა, ნარკოტიკების დამზადებაზე უხდებოდა მუშაობა. სულ უმცირესი დარღვევისთვისაც კი მას სცემდნენ. შემდეგ ის მალაიზიის ციხეში აღმოჩნდა, სადაც ის აღმოაჩინეს და სამშობლოში დააბრუნეს ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა. სამშობლოში მას პოლიციელები დახვდნენ და სახლში გააგზავნეს.



მამაკაცის გამოჩენამ მისი ნათესავები ძალიან გააკვირვა, ვინაიდან მას დიდი ხნის წინ გარდაცვლილად თვლიდნენ. ისინი მრავალი წლის განმავლობაში ცდილობდნენ მის პოვნას, მაგრამ უშედეგოდ, ხოლო 2016 წელს ტრადიციული დაკრძალვა მოუწყვეს.

ქ. ხ.


## განცხადებები

### სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი — სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების", მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# უქმეების მთავარი მატჩი ტოტენჰემშია

**ამ უქმეებზე ევროპაში ბევრი კარგი მატჩია, მაგრამ მათგან ერთ-ერთი გამოსარჩევია – ტოტენჰემი-ლივერპული... 2 მაგარი გუნდისა და 2 მაგარი მწვრთნელის ქიდილი.**




## ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 15.09 ტოტენჰემი-ლივერპული | 2.87 | 3.5 | 2.3 |
| 15.09 ნიუკასლი-არსენალი | 3.75 | 3.7 | 1.91 |
| 15.09 ჩელსი-კარდიფი | 1.17 | 7.0 | 15.0 |
| 15.09 ჰადერსფილდი-კრ.პალასი | 3.1 | 3.0 | 2.45 |
| 15.09 ბორნმუთი-ლესტერი | 2.37 | 3.4 | 2.9 |
| 15.09 სიტი-ფულემი | 1.11 | 9.0 | 19.0 |
| 15.09 უოტფორდი-მანჩესტერი | 4.0 | 3.4 | 1.91 |
| 16.09 ვულვზი-ბარნლი | 1.75 | 3.5 | 4.8 |
| 16.09 ევერტონი-ვესტ ჰემი | 2.05 | 3.6 | 3.4 |
| 17.09 საუთჰემპტონი-ბრაიტონი | 2.15 | 3.1 | 3.6 |

**ტოტენჰემი-ლივერპული**

ტოტენჰემი: ტრავმ-ერიკ ლამელა, მუსა სისოკო

ლივერპული: ტრავმ-ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი, დეიან ლოვრენი

**ნიუკასლი-არსენალი**

ნიუკასლი: ტრავმ-ჯონჯო შელვეი; დისკვ-ისააკ ჰაიდენი

არსენალი: ტრავმ-მესუთ ოზილი, ლორენ კოშიელნი

**ჩელსი-კარდიფი**

ჩელსი: ტრავმ-სესკ ფაბრეგასი

კარდიფი: ტრავმ-ნათანიელ მენდეზ-ლაინგი

**ჰადერსფილდი-კრ.პალასი**

ჰადერსფილდი: ტრავმ-არავინ; დისკვ-ჯონათა ჰოგი

კრ.პალასი: ტრავმ-პაპე სუარე

**ბორნმუთი-ლესტერი**

ბორნმუთი: ტრავმ-ლის მოსეტი

ლესტერი: ტრავმ-არავინ; დისკვ-ჯეიმი ვარდი

**სიტი-ფულემი**

სიტი: ტრავმ-კევინ დე ბრუინე, კლაუდიო ბრავო

ფულემი: ტრავმ-არავინ

**უოტფორდი-მანჩესტერი**

უოტფორდი: ტრავმ-იუნის კაბული

მანჩესტერი: ტრავმ-ფილ ჯონსი

**ვულვზი-ბარნლი**

ვულვზი: ტრავმ-არავინ

ბარნლი: ტრავმ-იოან გუდმუნდსონი

**ევერტონი-ვესტ ჰემი**

ევერტონი: ტრავმ-მაიკლ კინი, იდრისა გუეიე, ფილ იაგიელკა

ვესტ ჰემი: ტრავმ-არავინ

**საუთჰემპტონი-ბრაიტონი**

საუთჰემპტონი: ტრავმ-არავინ

ბრაიტონი: ტრავმ-ლუის დანკი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 4 | 4 | 0 | 0 | 9-1 | 12 |
| 2.ჩელსი | 4 | 4 | 0 | 0 | 10-3 | 12 |
| 3.უოტფორდი | 4 | 4 | 0 | 0 | 9-3 | 12 |
| 4.სიტი | 4 | 3 | 1 | 0 | 11-3 | 10 |
| 5.ტოტენჰემი | 4 | 3 | 0 | 1 | 9-4 | 9 |
| 6.ბორნმუთი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 7.ევერტონი | 4 | 1 | 3 | 0 | 7-6 | 6 |
| 8.ლესტერი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| 9.არსენალი | 4 | 2 | 0 | 2 | 8-8 | 6 |
| 10.მანჩესტერი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-7 | 6 |
| 11.ვულვზი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 12.საუთჰემპტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 4-4 | 4 |
| 13.ფულემი | 4 | 1 | 1 | 2 | 7-9 | 4 |
| 14.ბრაიტონი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 15.კრ.პალასი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-6 | 3 |
| 16.კარდიფი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-5 | 2 |
| 17.ჰადერსფილდი | 4 | 0 | 2 | 2 | 2-10 | 2 |
| 18.ნიუკასლი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-6 | 1 |
| 19.ბარნლი | 4 | 0 | 1 | 3 | 3-9 | 1 |
| 20.ვესტ ჰემი | 4 | 0 | 0 | 4 | 2-10 | 0 |

## ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 15.09 ატლეტიკო-ეიბარი | 1.36 | 4.5 | 9.0 |
| 15.09 სოსიედადი-ბარსელონა | 6.0 | 4.8 | 1.44 |
| 15.09 ვალენსია-ბეტისი | 1.75 | 3.7 | 4.4 |
| 15.09 ბილბაო-რეალი | 5.0 | 4.5 | 1.57 |
| 16.09 ლეგანესი-ვილიარეალი | 3.1 | 3.1 | 2.4 |
| 16.09 ესპანიოლი-ლევანტე | 1.75 | 3.7 | 4.4 |
| 16.09 ვალიადოლიდი-ალავესი | 2.25 | 2.9 | 3.6 |
| 16.09 სევილია-ხეტაფე | 1.55 | 3.9 | 6.0 |
| 17.09 ხირონა-სელტა | 2.37 | 3.4 | 2.87 |

**ატლეტიკო-ეიბარი**

ატლეტიკო: ტრავმ-ხუანფრანი

ეიბარი: ტრავმ-არავინ

**სოსიედადი-ბარსელონა**

სოსიედადი: ტრავმ-დიეგო ლიორენტე

ბარსელონა: ტრავმ-დენის სუარესი

**ვალენსია-ბეტისი**

ვალენსია: ტრავმ-ეზეკიელ გარაი

ბეტისი: ტრავმ-არავინ

**ბილბაო-რეალი**

ბილბაო: ტრავმ-არავინ

რეალი: ტრავმ-ხესუს ვალიეხო

**ლეგანესი-ვილიარეალი**

ლეგანესი: ტრავმ-ალექსანდერ შინამონვსკი

ვილიარეალი: ტრავმ-სანტიაგო კასერესი

**ესპანიოლი-ლევანტე**

ესპანიოლი: ტრავმ-ადრია პედროსა

ლევანტე: ტრავმ-არავინ

**ვალიადოლიდი-ალავესი**

ვალიადოლიდი: ტრავმ-არავინ

ალავესი: ტრავმ-არავინ

**სევილია-ხეტაფე**

სევილია: ტრავმ-სერხიო ესკუდერო

ხეტაფე: ტრავმ-მარკელ ბერგარა

**ხირონა-სელტა**

ხირონა: ტრავმ-არავინ

სელტა: ტრავმ-დავიდ იუნკა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 3 | 3 | 0 | 0 | 12-2 | 9 |
| 2.რეალი | 3 | 3 | 0 | 0 | 10-2 | 9 |
| 3.სელტა | 3 | 2 | 1 | 0 | 5-2 | 7 |
| 4.ლევანტე | 3 | 1 | 1 | 1 | 6-4 | 4 |
| 5.სევილია | 3 | 1 | 1 | 1 | 4-2 | 4 |
| 6.ბილბაო | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 7.ესპანიოლი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-3 | 4 |
| 8.სოსიედადი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 9.ხეტაფე | 3 | 1 | 1 | 1 | 2-2 | 4 |
| 10.ატლეტიკო | 3 | 1 | 1 | 1 | 2-3 | 4 |
| 11.ხირონა | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| 12.ალავესი | 3 | 1 | 1 | 1 | 2-4 | 4 |
| 13.ბეტისი | 3 | 1 | 1 | 1 | 1-3 | 4 |
| 14.უესკა | 3 | 1 | 1 | 1 | 6-11 | 4 |
| 15.ეიბარი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-5 | 3 |
| 16.ვალიადოლიდი | 3 | 0 | 2 | 1 | 0-1 | 2 |
| 17.ვალენსია | 3 | 0 | 2 | 1 | 3-5 | 2 |
| 18.ვილიარეალი | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |
| 19.ლეგანესი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-8 | 1 |
| 20.რაიო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |

## გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 15.09 ბაიერნი-ლევერკუზენი | 1.22 | 6.5 | 11.0 |
| 15.09 ლაიპციგი-ჰანოვერი | 1.53 | 4.4 | 5.5 |
| 15.09 ვოლფსბურგი-ჰერტა | 2.15 | 3.0 | 3.8 |
| 15.09 მაინცი-აუგსბურგი | 2.6 | 3.2 | 2.75 |
| 15.09 ფორტუნა-ჰოფენჰაიმი | 3.7 | 3.75 | 1.91 |
| 15.09 გლადბახი-შალკე | 2.45 | 3.3 | 2.87 |
| 16.09 ვერდერი-ნიურნბერგი | 1.67 | 4.0 | 4.75 |
| 16.09 ფრაიბურგი-შტუტგარტი | 2.5 | 3.2 | 2.75 |

**ბაიერნი-ლევერკუზენი**

ბაიერნი: ტრავმ-კინგსლი კომანი

ლევერკუზენი: ტრავმ-სვენ ბენდერი

**ლაიპციგი-ჰანოვერი**

ლაიპციგი: ტრავმ-არავინ

ჰანოვერი: ტრავმ-არავინ

**ვოლფსბურგი-ჰერტა**

ვოლფსბურგი: ტრავმ-ჯოშუა გულავოგი

ჰერტა: ტრავმ-ვლადიმირ დარიდა, პეტერ პეკარიკი

**მაინცი-აუგსბურგი**

მაინცი: ტრავმ-რენე ადლერი

აუგსბურგი: ტრავმ-სიმონ ასტა

**ფორტუნა-ჰოფენჰაიმი**

ფორტუნა: ტრავმ-ტაკაში უსამი

ჰოფენჰაიმი: ტრავმ-ჯუსტინ ჰოოგმა, ლარემ დემირბეი

**გლადბახი-შალკე**

გლადბახი: ტრავმ-მიხაელ ლანგილარს სტინდი, იბრაჰიმა ტრაორე

შალკე: ტრავმ-მატია ნასტასიჩი

**ვერდერი-ნიურნბერგი**

ვერდერი: ტრავმ-ფინ ბარტელსი

ნიურნბერგი: ტრავმ-არავინ

**ფრაიბურგი-შტუტგარტი**

ფრაიბურგი: ტრავმ-ამირ არბაშიიორიკ რავე

შტუტგარტი: ტრავმ-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 2 | 2 | 0 | 0 | 6-1 | 6 |
| 2.ვოლფსბურგი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 3.ჰერტა | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| 4.დორტმუნდი | 2 | 1 | 1 | 0 | 4-1 | 4 |
| 5.გლადბახი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| 6.ვერდერი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 7.აუსბურგი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-2 | 4 |
| 8.მაინცი | 2 | 1 | 1 | 0 | 2-1 | 4 |
| 9.აინტრახტი | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 3 |
| 10.ჰოფენჰაიმი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 11.ჰანოვერი | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 12.ფორტუნა | 2 | 0 | 1 | 1 | 2-3 | 1 |
| 13.ნიურნბერგი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-2 | 1 |
| 14.ლაოპციგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| 15.შალკე | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |
| 16.ფრაიბურგი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| 17.ლევერკუზენი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-5 | 0 |
| 18.შტუტგარტი | 2 | 0 | 0 | 2 | 0-4 | 0 |

## იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 15.09 ინტერი-პარმა | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 15.09 ნაპოლი-ფიორენტინა | 1.61 | 4.2 | 5.0 |
| 15.09 ფროზინონე-სამპდორია | 3.4 | 3.3 | 2.15 |
| 16.09 რომა-კიევო | 1.22 | 6.0 | 12.0 |
| 16.09 უდინეზე-ტორინო | 2.8 | 3.3 | 2.5 |
| 16.09 იუვენტუსი-სასუოლო | 1.2 | 7.0 | 12.0 |
| 16.09 ჯენოა-ბოლონია | 1.91 | 3.1 | 4.5 |
| 16.09 ემპოლი-ლაციო | 5.5 | 3.8 | 1.67 |
| 16.09 კალიარი-მილანი | 4.4 | 3.6 | 1.8 |
| 17.09 სპალი-ატალანტა | 4.0 | 3.5 | 1.91 |

**ინტერი-პარმა**

ინტერი: ტრავმ-ედი სალსედო

პარმა: ტრავმ-არავინ

**ნაპოლი-ფიორენტინა**

ნაპოლი: ტრავმ-არავინ

ფიორენტინა: ტრავმ-მარტინ გრაციარი, მაქს ოლივეირა

**ფროზინონე-სამპდორია**

ფროზინონე: ტრავმ-ემილ ჰალფრედსონი

სამპდორია: ტრავმ-გაბრიელ როლანდო

**რომა-კიევო**

რომა: ტრავმ-დიეგო პეროტი, ალესანდრო ფლორენცი

კიევო: ტრავმ-ფაბრიციო კაჩიატორე, ბოსტიან სესარი

**უდინეზე-ტორინო**

უდინეზე: ტრავმ-ანდრია ბალიჩი, სვანტე ინგელსონი

ტორინო: ტრავმ-კრისტიან ანსალდი

**იუვენტუსი-სასუოლო**

იუვენტუსი: ტრავმ-ლეონარდო სპინალოზა

სასუოლო: ტრავმ-ფრანჩესკო მანანელი

**ჯენოა-ბოლონია**

ჯენოა: ტრავმ-სანდრო

ბოლონია: ტრავმ-ანჯელო და კოსტა, როდრიგო პალასიო

**ემპოლი-ლაციო**

ემპოლი: ტრავმ-არნელ იაკუპოვიჩი

ლაციო: ტრავმ-ჯორდან ლუკაკუ, ვალონ ბერიშა

**კალიარი-მილანი**

კალიარი: ტრავმ-ლუკა ჩეპიტელი

მილანი: ტრავმ-ანდრეა კონტი, კრისტიან ზაპატა, რიკარდო მონტოლივო

**სპალი-ატალანტა**

სპალი: ტრავმ-სალვატორე ესპოზიტო, ლაზარ ნიკოლიჩი

ატალანტა: ტრავმ-არკადიუშ რეკა, იოსიპ ილიჩიჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 7-3 | 9 |
| 2.სასუოლო | 3 | 2 | 1 | 0 | 8-5 | 7 |
| 3.ფიორენტინა | 2 | 2 | 0 | 0 | 7-1 | 6 |
| 4.სპალი | 3 | 2 | 0 | 1 | 2-1 | 6 |
| 5.ნაპოლი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-6 | 6 |
| 6.ატალანტა | 3 | 1 | 1 | 1 | 7-4 | 4 |
| 7.ინტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 5-3 | 4 |
| 8.ემპოლი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-2 | 4 |
| 9.რომა | 3 | 1 | 1 | 1 | 5-5 | 4 |
| 10.ტორინო | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 11.უდინეზე | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 12.კალიარი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 13.სამპდორია | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| 14.მილანი | 2 | 1 | 0 | 1 | 4-4 | 3 |
| 15.ჯენოა | 2 | 1 | 0 | 1 | 5-6 | 3 |
| 16.ლაციო | 3 | 1 | 0 | 2 | 2-4 | 3 |
| 17.პარმა | 3 | 0 | 1 | 2 | 3-5 | 1 |
| 18.ბოლონია | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |
| 19.ფროზინონე | 3 | 0 | 1 | 2 | 0-5 | 1 |
| 20.კიევო | 3 | 0 | 1 | 2 | 3-9 | 1 |

## საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 15.09 კაენი-ლიონი | 5.0 | 3.7 | 1.7 |
| 15.09 ტულუზა-მონაკო | 2.87 | 3.6 | 2.4 |
| 15.09 ამიენი-ლილი | 3.2 | 3.2 | 2.3 |
| 15.09 მონპელიე-სტრასბური | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 15.09 დიჟონი-ანჟე | 2.05 | 3.5 | 3.5 |
| 16.09 ნანტი-რეიმსი | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 16.09 ბორდო-ნიმი | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 16.09 მარსელი-გენგამი | 1.28 | 5.8 | 9.0 |

**კაენი-ლიონი**

კაენი: ტრავმ-არავინ

ლიონი: ტრავმ-არავინ

**ტულუზა-მონაკო**

ტულუზა: ტრავმ-ფრანსუა მობანჯე

მონაკო: ტრავმ-რონალ პიერგაბრიელი, სტევან იოვეტიჩი

**ამიენი-ლილი**

ამიენი: ტრავმ-ქვენტინ კორნე

ლილი: ტრავმ-ტიაგო მენდესი

**მონპელიე-სტრასბური**

მონპელიე: ტრავმ-ჯოვანი სიო

სტრასბური: ტრავმ-არავინ

**დიჟონი-ანჟე**

დიჟონი: ტრავმ-არავინ

ანჟე: ტრავმ-ვინსენტ პაიო, სტეფან ბაჰოკენი

**ნანტი-რეიმსი**

ნანტი: ტრავმ-არავინ

რეიმსი: ტრავმ-რომან მეტანიე

**ბორდო-ნიმი**

ბორდო: ტრავმ-ალექსანდრე მენდი

ნიმი: ტრავმ-დდენის ბოანგა

**მარსელი-გენგამი**

მარსელი: ტრავმ-სტივ მანდადა

გენგამი: ტრავმ-აბდულ კამარა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 4 | 4 | 0 | 0 | 13-4 | 12 |
| 2.დიჟონი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-3 | 9 |
| 3.ტულუზა | 4 | 3 | 0 | 1 | 5-6 | 9 |
| 4.ლილი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-2 | 7 |
| 5.მარსელი | 4 | 2 | 1 | 1 | 10-7 | 7 |
| 6.რენი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| 7.მონპელიე | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| 8.ლიონი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-2 | 6 |
| 9.სტ.ეტიენი | 4 | 1 | 3 | 0 | 3-2 | 6 |
| 10.ნიმი | 4 | 2 | 0 | 2 | 9-9 | 6 |
| 11.რეიმსი | 4 | 2 | 0 | 2 | 3-5 | 6 |
| 12.კაენი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-5 | 5 |
| 13.მონაკო | 4 | 1 | 1 | 2 | 6-6 | 4 |
| 14.ამიენი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-5 | 4 |
| 15.სტრასბური | 4 | 1 | 1 | 2 | 5-6 | 4 |
| 16.ნანტი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| 17.ნიცა | 4 | 1 | 1 | 2 | 2-6 | 4 |
| 18.ანჟე | 4 | 1 | 0 | 3 | 5-8 | 3 |
| 19.ბორდო | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |
| 20.გენგამი | 4 | 0 | 0 | 4 | 3-10 | 0 |

# საქართველომ ისრაელი სტუმრად დაამარცხა

ისრაელი-საქართველო 80:85

საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიოს 2019 წლის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი გასვლითი გამარჯვებით დაიწყო. ილიას ზუროსის გაწვრთნილმა გუნდმა თელ ავივში ისრაელის ნაკრებს 85:80 სძლია და ებრაელებს ცხრილში გადაუსწრო. საქართველოს ნაკრებს პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან 2 გამარჯვება გადმოჰყვა და ახლა მოგებ-წაგებათა ბალანსი 3-3-ზე აქვს.




თელ ავივში გამარჯვებით საქართველოს ნაკრებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ევროპულ კალათბურთში საკუთარ, ბოლო წლებში დამკვიდრებულ ადგილს ინარჩუნებს. ზუროსის გუნდმა დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და მატჩი, რომლის პირველი ნახევრის შემდეგ თითქოს იოლად მოსაგები ჩანდა, ხოლო მესამე პერიოდში მასპინძელთა უდიდეს წინაალმდეგობას წააწყდა, ბოლო წუთებზე მკაცრი სათამაშო დისციპლინითა და გუნდური გარჯით 5 ქულით მოიგო.

ქართველებმა მატჩის პირველ ნახევარში, რომელიც 12 ქულით მოიგეს, 11 სამქულიანი ჩააგდეს. ჩვენი გუნდის ნატურალიზებული ამერიკელი კალათბურთელის, მეტ ჯენინგის სადებიუტო სროლები ზუსტი გამოდგა. ჯენინგის მსგავსად, პირველ ნახევარში 3 სამიანი ჩააგდეს თორნიკე შენგელიამ და დუდა სანაძემ. პირველი ნახევრის სამქულიანების თამასა 11-მდე მერაბ ბოქოლიშვილმა და მიხეილ ბერიშვილმა შეავსეს.

მესამე პერიოდიდან მასპინძლებმა სათამაშო ტაქტიკა შეცვალეს. პერიმეტრზე აიწიეს, რითაც ქართველებს სამქულიანების სროლის შესაძლებლობა შეუზღუდეს, ხოლო შეტევაში მარტივად, სისწრაფისა და სწორი გადაადგილების ხარჯზე კლასიკურ, ეგრეთ წოდებულ პიკ-ენ-როლს თამაშობდნენ. ამან კი ის შედეგი გამოიღო, რომ მესამე პერიოდი ებრაელებმა 31:16 მოიგეს და 12-ქულიანი ჩამორჩენა ლიდერობად აქციეს – 68:65.

ბოლო პერიოდში ილიას ზუროსმა რამდენიმე გადაადგილება გააკეთა. ერთი მონაკვეთი ქართველებმა ცენტრის გარეშე ითამაშეს, თუმცა ამან სასურველი შედეგი არ გამოიღო. ანგარიში ებრაელებს მიჰყავდათ, ქართველები კი დაწინაურებას ვერ ახერხებდნენ. საქართველოს ნაკრებმა ის მოახერხა, რომ დაცვაში არეული საქმეები დაალაგა და მეტოქეს ქულების დაგროვების წყარო გადაუკეტა, თუმცა შეტევაში მოვიკოჭლებდით და კვანძი ბოლო წუთებზე გაიხსნა. მიხეილ ბერიშვილმა ძალიან მნიშვნელოვანი

გაგრძელება მე-10 გვერდზე



## ორთაბრძოლით გართული გველები მესამე სართულიდან გადმოცვივდნენ

ავსტრალიაში ორთაბრძოლით გართული გველები მესამე სართულიდან გადმოცვივდნენ. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეორგოლი კვინსლენდის შტატის ქალაქ კუროოის მცხოვრებმა ჯილიან ბრედლიმ გადაიღო. მისი ყურადღება მიიქციეს ქვეწარმავლებმა, რომლებიც მის აივანზე ჩხუბობდნენ. ავსტრალიელმა ქალბატონმა თავისი კატა დაუყოვნებლივ ოთახში ჩაკეტა, თავად კი რეპტილიების ორთაბრძოლის გადაღება დაიწყო.

გველების ორთაბრძოლა დაახლოებით 10 წუთს გრძელდებოდა, სანამ ისინი ორთაბრძოლით ისე არ გაერთნენ, რომ ვერ შენიშნეს, როგორ აღმოჩნდნენ აივნის კიდეზე და მერე ძირს გადაცვივდნენ. ბრედლის თქმით, ამ გადავარდნას ქვეწარმავლებზე არ უმოქმედია და ისინი ორთაბრძოლას აგრძელებდნენ.

ამის შემდეგ ქალმა გველებზე მონადირე გამოიძახა, რომელმაც ისინი დაიჭირა, სახლიდან მოშორებით გადაიყვანა და გაუშვა.



## მდედრი ლომი მამრს ყურადღების მისაპყრობად ზურგზე მოაჯდა

მდედრი ლომის უშედეგო მცდელობები, მამრის ყურადღება მიეპყრო, ვიდეოზე იქნა გადაღებული.

ვიდეოს დასაწყისში მდედრი ლომი წამოწოლილ მამრს გარშემო უვლის. შემდეგ ის მის წინ გაგორდა, თუმცა მამრი მის იგნორირებას აგრძელებს. ჯიუტი მდედრი შემდეგ მამრს ზურგზე შეაჯდა, მაგრამ ვერც ამან უშველა. მამრი მის მიმართ სრულ გულგრილობას იჩენს.



მალე მდედრმა ყურადღების მისაპყრობად სხვა ხერხს მიმართა, მის წინ ბალახზე სრიალი დაიწყო. მამრმა კი გადაწყვიტა, წაეთვლიმა. მდედრი ვერც ამან გააჩერა და კვლავ აგრძელებდა მამრის ყურადღების მიპყრობის მცდელობას. თავმობეზრებული მამრი ბოლოს წამოდგა და წავიდა, მაგრამ მდედრი გაეკიდა. აღნიშნულმა ვიდეომ ინტერნეტმომხმარებელთა ყურადღება მიიქცია და ბევრმა მხიარული კომენტარებიც დატოვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## მოსწავლეს ნერვიულობის გამო სახე სისხლიანი ოფლით დაეფარა

ვიეტნამელ მოსწავლეს გამოცდისთვის მზადების დროს სისხლიანი ოფლი გამოუვიდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს. ექიმები ვარაუდობენ, რომ 11 წლის მოსწავლეს გემატიდროზი აქვს – იშვიათი მდგომარეობა, რომელიც შიშის ან მღელვარების დროს ვლინდება. ამ დროს ადამიანის ოფლი მის სისხლს ერევა სისხლძარღვების კედლების დაზიანების გამო და კანის ზედაპირზე აღწევს წითელი ფერის სითხის სახით.

როდესაც აღნიშნული სიმპტომები პირველად გამოვლინდა, ექიმებმა გოგონას კანის ინფექციის დიაგნოზი დაუსვეს და მკურნალობის კურსი დაუნიშნეს. მას შემდეგ, რაც წამლებმა შედეგი ვერ გამოიღო, ბავშვი განმეორებით გამოიკვლიეს და ივარაუდეს, რომ მდგომარეობა შესაძლოა გემატიდროზით იყოს გამოწვეული. გოგონას ექიმის თქმით, აღნიშნული დაავადება, შესაძლოა, 10 მილიონი ადამიანიდან ერთს აღმოაჩნდეს.

აღნიშნული დაავადების მიზეზი ბოლომდე შესწავლილი არ არის, ვინაიდან ის დიდ იშვიათობას წარმოადგენს.

## ასტროპროგნოზი

### 15 სექტემბრისათვის



**ვერძი** – საქმიანი აქტივობისათვის შეუფერებელი დღეა. მოშურნეები ყველანაირად ხელს შეგიშლიან. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **კურო** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **ტყუპები** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **კირჩხიბი** – საქმიანი პარტნიორების ყურადღებას მიიპყრობთ და ახალ მოკავშირეებსაც გაიჩენთ. გელით რომანტიკული თავგადასავალი. **ლომი** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის. დიდია მოტყუების ალბათობა. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **ქალწული** – დაძაბული პერიოდია. ინტრიგები დილიდანვეა მოსალოდნელი. უეცარი დაბრკოლება თქვენს საქმეებზე უარყოფითად აისახება. **სასწორი** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **ღრიანკალი** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **მშვილდოსანი** – ჯანმრთელობის მდგომარეობა სავსებით დამაკმაყოფილებელია, მაგრამ ნერვებს გაუფრთხილდით და ნუ გადაიღლებით. ეცადეთ, იყოთ დამოუკიდებელი და სიტუაცია თქვენ სასარგებლოდ მართოთ. **თხის რქა** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **მერწყული** – კრიტიკული დღეა. განერვიულებული და გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **თევზები** – ზედმეტი თავდაჯერებულობა და, პირიქით, გაუბედაობა – ორივე დაგაზარალებთ. ზომიერების დაცვა დღის დევიზია.

### 16 სექტემბრისათვის

**ვერძი** – შესაძლოა, თქვენთვის ხელსაყრელი წინადადება მიიღოთ ან ახალი, საინტერესო სამსახური შემოგთავაზონ. ერთსაც და მეორესაც უყოყმანოდ დათანხმდით. **კურო** – ენერგიულად ხართ. ნებისმიერ სფეროში წარმატებას მიაღწევთ. შესაძლოა, დაგაწინაურონ კიდეც. **ტყუპები** – ყველაზე რთულ სიტუაციასაც კი თქვენ სასარგებლოდ იყენებთ. დღეს, სავარაუდოდ, სანუკვარი ოცნება აგიხდებათ. **კირჩხიბი** – პარტნიორის თავქარიანობა განხეთქილების მიზეზი გახდება. ეცადეთ, კეთილგონიერება გამოიჩინოთ და სკანდალს თავი აარიდოთ. **ლომი** – იაქტიურეთ. იღბლიანი დღეა. თქვენი ავტორიტეტი იზრდება. პასუხისმგებლობა და საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულება უფროსობას შეუმჩნეველი არ დარჩება. **ქალწული** – კეთილისმყოფელი დღეა ფინანსური ოპერაციებისათვის. ვარსკვლავები წარმატებულ საქმიანობას გიწინასწარმეტყველებენ. **სასწორი** – ნერვებს გაუფრთხილდით. ემოციების აყოლა არ გარგებთ. საქმე გაანაწილეთ. ნუ გადაიღლებით. **ღრიანკალი** – გუნება-განწყობა ხშირად გეცვლებათ. თავი ხელში აიყვანეთ და თქვენს განცდებს სხვას ნუ მოახვევთ. ძველი საქმეები დღეს დაამთავრეთ. **მშვილდოსანი** – თქვენს ნიჭსა და უნარს მთელი სისრულით წარმოაჩენთ. ფინანსური მდგომარეობა მკვეთრად გიუმჯობესდებათ. **თხის რქა** – ნევროზული განწყობა პიკს აღწევს. ისწავლეთ ემოციების მართვა. დაფიქრდით, ყოველთვის მართალი ხართ? **მერწყული** – გონება იმარჯვებს გრძნობებზე. ჩანაფიქრის რეალიზებას იოლად მოახერხებთ. ზუსტი და სხარტი აზროვნება თქვენი კეთილდღეობის გარანტია. **თევზები** – უსიამოვნო სიურპრიზების ალბათობა დიდია. ახალი იდეებისა და გეგმების შესახებ ნურავის უამბობთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## საქართველომ ისრაელი სტუმრად დაამარცხა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

სამიანი ჩააგდო, რითაც ებრაელებს გაქცევის საშუალება არ მისცა. თორნიკე შენგელიას ფარქვეშ დასახმარებლად გოგა ბითაძე შეეშველა, ხოლო უკანა ხაზში გამთამაშებლის სადავეები მოედნიდან დასასვენებლად გასულმა გიორგი ცინცაძემ დაიბრუნა.

მატჩის დასრულებამდე 2:28 წუთით ადრე შენგელიას საჯარიმოების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა მესამე პერიოდის შუაწელში დაკარგული ლიდერობა დაიბრუნა. შემდეგ თამაში ქულა-ქულაში გაგრძელდა და ბოლო წუთზე გოგა ბითაძის, დუდა სანაძის, მეტ ჯენინგისა და გიორგი ცინცაძის საქები გარჯით ქართველებმა ბოლო წამებზე მატჩის ბედი სათავისოდ გადაწყვიტეს. ეს თორნიკე შენგელიას ფარქვეშა ორქულიანის შემდეგ მოხდა, რაც გიორგი ცინცაძის უმნიშვნელოვანეს ჩაჭრას მოჰყვა, რომელიც ვეტერანმა გამთამაშებელმა ებრაელთა ყველაზე სასარგებლო მოთამაშის, ტამირ ბლატის წინააღმდეგ მოედნის ცენტრში განახორციელა.

მატჩის ბომბარდირი 22 ქულით თორნიკე შენგელია გახდა, რომელსაც ორმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა. მარგი ქმედების კოეფიციენტით საუკეთესო შედეგი გოგა ბითაძემ დააფიქსირა, რომელმაც 23 წუთში 13 ქულა, 9 მოხსნა, 4 დაფარება, ერთი ჩაჭრა და 2 პასი მოაგროვა. 17 ქულით დაასრულა შეხვედრა დუდა სანაძემ, რომელმაც 7-დან 5 სამქულიანი ჩააგდო. 5 სამიანი ჩააგდო ნაკრების დებიუტანტმა მეტ ჯენინგმა, რომელმაც შეხვედრა 15 ქულით და 3-3 მოხსნა-პასით დაასრულა. 9 ქულა ჰქონდა გიორგი შერმადინს, 6 მიხეილ ბერიშვილს, ხოლო 3 – მერაბ ბოქოლიშვილს. გიორგი ცინცაძეს ბურთი არ ჩაუგდია, თუმცა მისი 7 პასი და 3 ჩაჭრა, რომელთაგან ბოლო მატჩის ბედის განმსაზღვრელი იყო, ნაკრებისთვის დიდად სასარგებლო გამოდგა.

საქართველოს ნაკრები უკვე თბილისშია და მზადებას საბერძნეთის მატჩისთვის განაგრძობს, რომელსაც 16 სექტემბერს სპორტის სასახლე უმასპინძლებს.

ჩვენი ჯგუფის სხვა მატჩები ასე დასრულდა: ესტონეთი-გერმანია 43:86, საბერძნეთი-სერბეთი 70:63

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.გერმანია | 7 | 7 | 0 | 14 |
| 2.საბერძნეთი | 7 | 7 | 0 | 14 |
| 3.სერბეთი | 7 | 4 | 3 | 11 |
| 4.საქართველო | 7 | 3 | 4 | 10 |
| 5.ისრაელი | 7 | 3 | 4 | 10 |
| 6.ესტონეთი | 7 | 2 | 5 | 9 |

მ. ჟ.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 2. ფრანგული პარფიუმერული ფირმა; 3. სიბერით გამოწვეული დაავადებების შემსწავლელი მედიცინის დარგი; 4. ფრანგი შანსონიე ქალი; 5. ოქრომჭედლის ყალიბი; 8. ტროპიკული პალმის ნაყოფი; 9. სამეფო საბჭოს სხდომა ძველად საქართველოში; 12. ლირიკულ-სატრფიალო ხასიათის სპარსულ-აზერბაიჯანული სიმღერა; 14. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 16. ბერძნული ანბანის ბოლო ასო.

**თარაზულად:** 1. მეფეთა ძვირფასი თავსამკაული; 6. ბიზანტიელ ისტორიკოსთა კრებული საქართველოს შესახებ; 7. ჭაობის მცენარე; 9. მეტროს სადგური თბილისში; 10. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში; 11. შავი და მარმარილოს ზღვების დამაკავშირებელი სრუტე; 13. მდინარე რომში; 15. სათამაშო სახლი, სამორინე; 17. ამერიკული ფარმაცევტული ფირმა; 18. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 19. კომბინაცია პრეფერანსში; 20. ობობასნაირთა ოჯახის შხამიანი ცხოველი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. პოლისი; 2. აგვისტო; 3. ქარვასლა; 4. პროგრესი; 8. მითრიდატე; 9. ტაბაწყური; 11. ჩარტერი; 12. აბიო; 14. ელია; 16. ჩხოროწყუ; 17. ზაკოპანე; 19. ტირადა; 21. „სილვა".

**თარაზულად**: 5. „ლაშარელა"; 6. ავადჰარა; 7. ექსპანსია; 10. ესკიმო; 13. რებუსი; 15. სისტოლა; 18. ახტალა; 20. მაროკო; 22. მურვანიძე; 23. ჭყონდიდი; 24. ავტობანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ბატატი; 2. ხოჭო; 3. ტახომეტრი; 4. ბასრა; 5. კაპრიზი; 8. პრერია; 9. მიკოლოგია; 12. იშხანი; 14. ალმასი; 16. „იტამი".

**თარაზულად**: 1. ბურდუხანი; 6. კალევალა; 7. ტყაპუჭი; 9. მაწონი; 10. დალი; 11. არაბიკა; 13. ჭვავი; 15. უშქარი; 17. დიორამა; 18. ჯაპანა; 19. ოდისეა; 20. მიტარბი.



# გიორგი ნაზლაიძე საქართველოდან წავიდა

მოდელი და ტელეწამყვანი გიორგი ნაზლაიძე საქართველოდან წავიდა. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ცნობილი ადამიანები ჩვენი ქვეყნის დატოვების გადაწყვეტილებას იღებენ.

გიორგი ნაზლაიძე:

— ჩემო მეგობრებო, დროზე ადრე მომიწია ქვეყნიდან წასვლა. ბოდიში, ვისაც ვერ დაგემშვიდობეთ. მიყვარხართ, თქვენი გევო.

# ფიროსმანის დაკარგული ნახატი გუგლში გამოჩნდა



ნიკო ფიროსმანაშვილის დაკარგული ნახატი „ძაღლი“ გუგლში გამოჩნდა. ინფორმაცია ამის შესახებ გიორგი ტაბლიაშვილმა გაავრცელა:

— გუგლში გამოჩნდა ახლა... ფიროსმანის ეს დაკარგული ნახატი.

მისი კბილები მარგალიტზე უფრო პრიალებენო, ითქვა ერთხელ მკვდარ და გახრწნილ ძაღლზე.

ფიროსმანი არის...

ნომერი ერთი კი არა...

ფიროსმანი არის — აპოკალიპტური მხატვარი.

# თავისუფალი თეატრი ახალ სეზონს პრემიერით გახსნის

თავისუფალი თეატრი ახალ სეზონს პრემიერით გახსნის. 15 სექტემბერს მაყურებელი მოლიერის „ტარტიუფს“ ნახავს, რომლის რეჟისორიც ლიტველი გაბრიელა ტუმინაიტეა, მხატვარი კი თეო კუხიანიძე.

სპექტაკლში დაკავებული არიან თავისუფალი თეატრის მსახიობები კახა მიქიაშვილი, მამუკა მუმლაძე, თუთა ოქროპირიძე, თიკო კორძაძე, თათული ედიშერაშვილი, მარიამ ნადირაძე, გივიკო ბარათაშვილი, ნიკა გოგიჩაიშვილი, გიორგი ცერცვაძე, ნიაზ ხუციანიძე, სალომე ჭულუხაძე და ანი ამილახვარი.



# მომღერალი ლიკა შუბითიძე დავით დეფისთან დუეტის ჩასაწერად ფულს აგროვებს

მომღერალი ლიკა შუბითიძე ქმართან ერთად წლებია ამერიკაში ცხოვრობს. იგი დავით დეფისთან ერთად დუეტის ჩაწერას აპირებს და ამისთვის საჭირო თანხას აგროვებს. დახმარებისთვის ლიკამ საზოგადოებას მიმართა და დაბადების დღისთვის, 17 სექტემბრისთვის ყველაზე კარგ საჩუქრად სწორედ თანხის ჩუქება დაასახელა:



— მე ვარ ლიკა შუბითიძე, ქართველ/ამერიკელი არტისტი, მუსიკოსი, სიმღერების ავტორი, ვმუშაობ ერთ-ერთ ჯგუფში ტატოსთან ერთად. ტატო არტისტია, მუსიკოსი, სიმღერების ავტორი და ჩემი ქმარი. ვცხოვრობთ ფილადელფიაში.

ჩვენ, პოეზიის და მუსიკის შემაკავშირებელი, ერთობლივი თრექის ჩაწერის დიდი სურვილი გვაქვს ქართველ/ამერიკელ არტისტთან, პოეტთან, რომანისტთან დავით დეფისთან, რომელიც ნიუ იორკში ცხოვრობს.

ჩვენი სტუდია ფილადელფიაშია, გვჭირდება გარკვეული რაოდენობის თანხა, რათა ნიუ იორკიდან ფილადელფიაში დეფის ჩამოყვანა შევძლოთ, მისი ერთი კვირით დაბინავება და თრექზე მუშაობის დასრულების შემდეგ, უკან — ნიუ იორკში მისი გამგზავრება.

მისი ფილადელფიაში ყოფნის პერიოდში გვინდა ასევე, ამ თრექზე კლიპის შექმნაც შევძლოთ და ცხადია, გვჭირდება ფული არა მარტო გზისთვის, არამედ ვიდეო-აპარატურისთვისაც.

მთლიანი თანხაა 2500 დოლარია.

17 სექტემბერს ჩემი დაბადების დღეა და ამ მოკლე დროში შეგროვებული თანხა, რომელიც პოეზიისა და მუსიკის ერთობლივი და უახლესი თრექის შექმნაში მოგვეხმარება, ყველაზე მაგარი საჩუქარი იქნება ჩემთვის... და ჩვენთვის.

# აჩიკო ნიჟარაძე და „ქართული ხმები“ საკონცერტო ტურნეს იწყებენ




მომღერალი აჩიკო ნიჟარაძე და „ქართული ხმები“ საკონცერტო ტურნეს იწყებენ.

პირველი კონცერტი ბათუმში გაიმართება. მათთან ერთად საღამოზე იელოუ ბენდი დაუკრავს.

„პროექტი იქსი“ — ასე ეწოდება საკონცერტო სერიას, რომლის ფარგლებშიც აჩიკო ნიჟარაძე და ქართული ხმები საქართველოს სხვადასხვა ქალაქს ესტუმრებიან. უახლოესი კონცერტი კი 16 სექტემბერს მცხეთაში ჩატარდება.

# დათა თავაძის გერმანიაში დადგმული სპექტაკლი თბილისში გათამაშდება

„ვეფხვი და ლომი“ — ასე ეწოდება სპექტაკლს, რომელიც ქართველმა რეჟისორმა დათა თავაძემ ბადენის სახელმწიფო თეატრში დადგა. ეს არის ბადენის თეატრის და სამეფო უბნის თეატრის ერთობლივი ნამუშევარი. დრამატული ჟანრის სპექტაკლზე დათა თავაძემ დრამატურგ დავით გაბუნიასთან და კომპოზიტორ ნიკა ფასურთან ერთად იმუშავა. სპექტაკლის მხატვრობა სებასტიან ჰანაკს ეკუთვნის.

კარლსრუეს სახელმწიფო თეატრი ევროპის ყველაზე დიდი მრავალპროფილიანი თეატრია, მასში ერთდროულად 750 პირი მუშაობს და 330 000 მაყურებელზე მეტი წელიწადში 750 სპექტაკლს წარმოადგენს. საოპერო, საკონცერტო, საბალეტო და დრამატულ განყოფილებებს თეატრში ორი ახალი განყოფილება დაემატა მას შემდეგ, რაც მას სათავეში პეტერ სპილერი ჩაუდგა: საყმაწვილო და მაყურებლის სათანამონაწილეო თეატრი. შემოდგომის შემდეგ სამ ძირითად განყოფილებას საოპეროს, საკონცერტოს და საბალეტოს სათავეში ქალები ჩაუდგნენ. თეატრს 300-ზე მეტი წლის ისტორია აქვს: ქალაქის აშენებისთანავე, იგი სამეფო კარის თეატრად დაარსდა, მაგრამ მისი კარი მუდამ ღია იყო ფართო მაყურებლისთვის. თეატრი რამდენიმე საერთაშორისო თეატრალური ქსელის აქტიური წევრია. ამავე სისტემაში თეატრის ერთ-ერთი პარტნიორი კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრია. მათი თანამშრომლობის უკანასკნელი ნაყოფის, ციფრული თეატრის პროექტის „დადგი სცენაზე საკუთარი ქალაქი“ პრემიერა აპრილში საფრანგეთის ქალაქ ნანსიში გაიმართა.

მარჯანიშვილის თეატრთან ერთად ბადენის სახელმწიფო თეატრის პარტნიორი სამეფო უბნის თეატრიც გახდა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**



# სამგლოვიარო განცხადებები

## იგი მუდამ ჩვენთან იქნება

გული გვტკივა, რომ

**ელგუჯა გეწაძე**



დღეს წარსულ დროში უნდა გავიხსენოთ. განვლილმა ორმოცმა დღემ გვიჩვენა, რაოდენ ძვირფასი პიროვნება დავკარგეთ.

მართლაც რომ ადრე წავიდა იგი ჩვენგან და დაგვიტოვა უდიდესი სევდა მასთან განშორების.

თითოეული ჩვენგანისთვის მისი სახელი და გვარი უფრო ტევადი და მნიშვნელოვანია, ვიდრე არსებული ბევრი წოდება და ტიტული.

იგი ცხოვრობდა მართლაც რომ უჩუმრად, მაგრამ კეთილშობილებითა და დიდბუნებოვნებით დაჯილდოებული. ყოველთვის იყო სხვისი დამხმარე, მოჭირნახულე და მხარდამჭერი.

მის პიროვნებაში სულის სისპეტაკე, კეთილგანწყობა ჰარმონიულად იყო შერწყმული სამართლიან, მკაცრ მოთხოვნებთან.

ელგუჯას მიერ განვლილ ცხოვრების გზას მხოლოდ ერთი განსაზღვრება შეიძლება მიეცეს — ეს არის კვალი ნათელი კაცისა.

მისი სამეგობრო წრე ბედნიერი ვართ იმით, რომ რამდენიმე ათეული წელი მის გვერდით გავატარეთ და მასთან ერთად ბევრ ბედნიერ დღეს ვეზიარეთ.

ნათელი და დიდება მის უკვდავ სახელს!

**ელგუჯა გეწაძის სამეგობრო წრე**

---

ბონდო კალანდაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ოჯახის უახლოესი მეგობარი და კოლეგა, მეღვინე

**თამაზ ქვლივიძე**

---

შვილები გია მენთეშაშვილი და ირაკლი ჩიქოვანი ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან საყვარელი დედის

**დარეჯან ვასილის ასულ სირბილაძე-ჩიქოვანის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 15 სექტემბერს;

დაკრძალვა: კვირას, 16 სექტემბერს, 14 საათზე;

მისამართი: დიღმის მასივი, III კვარტალი, VII კორპუსი, III სადარბაზო.

---

## სამტრესტის

ვეტერანი მეღვინეები დიდი გულისტკივილით იუწყებიან საგარეჯოს ღვინის ქარხნის დირექტორის, სახელოვანი მეღვინის, კაცთმოყვარე ადამიანის

**თამაზ ქვლივიძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს, ახლობლებსა და კოლეგებს.

გარდაიცვალა შესანიშნავი ქართველი, კარგი მეოჯახე, მოსიყვარულე მეუღლე, შვილებისა და შვილიშვილებისათვის საყვარელი ადამიანი

---

## თამაზ ქვლივიძე

მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება დაუკავშირა ქართულ მეღვინეობას და დიდი მონდომებით ემსახურა ქართული ღვინის დაყენების ხელოვნებას. არაერთი სიხარული მოუტანა მან თავის მრავალრიცხოვან მეგობრებს მის მიერ შექმნილი პროდუქციით. თამაზ ქვლივიძემ თავისი შრომითი მოღვაწეობით სამართლიანად დაიმკვიდრა კარგი მეღვინის ღირსეული ადგილი საუკეთესო მეღვინეთა შორის. იყო გულგახსნილი, ყურადღებიანი, კეთილშობილი და სიხარულის მომნიჭებელი ადამიანი.

ვიზიარებთ მისი ოჯახის მწუხარებას და თანავუგრძნობთ მის სანათესავოს, მეგობრებსა და ახლობლებს.

**ომარ კაჭარავა, გიორგი სალუქვაძე, გია ლოლაძე, თამაზ გაბუნია, თამაზ კუნჭულია, ომარ თედორაძე**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

15 სექტემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.6158

ევრო — 3.0309

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4029

100 რუსული რუბლი — 3.7664

## ამინდის პროგნოზი 15 სექტემბრისთვის




## ილონ მასკს პორნოში გადაღება შესთავაზეს



მოზრდილებისთვის ფილმების მწარმოებელი კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ჯეფ დილონმა მეწარმე ილონ მასკს პორნოში გადაღება შესთავაზა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მას ფილმში მონაწილეობისთვის 150 ათას დოლარს სთავაზობენ.

ერთ-ერთი ამერიკული გამოცემის ჟურნალისტი ამტკიცებს, რომ მათ განკარგულებაშია პორნომაგნატის წერილი. მასში ნათქვამია, რომ მასკს კამერის წინ სექსით დაკავება არ მოუწევს. გარდა ამისა, ის უფასოდ მიიღებს მარიხუანასა და ნარკოტიკების შემცველ საჭმელს, ასევე „ფასდაუდებელ მოგონებებს".

— მე მჯერა, რომ შთამბეჭდავი ფილმის გადაღებას შევძლებთ, რომელშიც თქვენი უშრეტი ენერგია, კვლევების მიმართ სიყვარული და შემოქმედებითი ნატურა აისახება, — აღნიშნულია დილონის წერილში. ის ასევე ამბობს, რომ პორნოპაროდიის გადაღებას აპირებს, რომელიც ილონ მასკის გვირაბების მშენებლობით გატაცებაზე იქნება დაფუძნებული.

ჯერჯერობით ილონ მასკს ამ წინადადებაზე რეაგირება არ მოუხდენია.

## იუმორი

მასწავლებელი რუს მოსწავლეს ეკითხება:

— ვალოდია, მითხარი, ჩვენი პრეზიდენტი გიყვარს?

— დიახ, მარია ივანოვნა, ისე, როგორც საკუთარი მშობლები.

— და რატომ?

— იმიტომ, რომ ჩვენთან პრეზიდენტს, ისევე, როგორც მშობლებს, არ ირჩევენ!

•••

მთვრალი მამაკაცი სახლში გვიან ღამით დაბრუნდა, თავი ველარ შეიმაგრა, შემოსასვლელში მდგარ კარადას დაეჯახა და გადმოაყირავა. ხმაურზე მეუღლე და ბავშვები გამოცვივდნენ. მან ბავშვებს შეხედა და ეკითხება:

— რა, მამიკოს გარეშე ვერ იძინებთ?

•••

ხანდაზმული მამაკაცი ექიმს ეკითხება:

— ექიმო, როგორია სკლეროზის სიმპტომები?

— გუშინ ხომ გითხარით!

•••

ერთი მეგობარი მეორეს უყვება:

— 15 წლის წინ ერთმა მკითხავმა მითხრა, რომ მთელ ჩემს შემოსავალს ქალებს დავახარჯავდი.

— მერე?

— რა მერე, სახლში ცოლი და სამი ქალიშვილი მყავს და მთელ ჩემს შემოსავალს მათ ვახარჯავ, არადა, 15 წლის წინ ყველაფერი სულ სხვაგვარად წარმომედგინა...

•••

მოსამართლე ბრალდებულს ეკითხება:

— ბრალდებულო, რამ გიბიძგათ ბანკის გაძარცვისკენ?

— იმან პირველმა დაიწყო!

•••

სეროჟას ეკითხებიან:

— რომელი ეროვნების ხარ?

— რატომ მეკითხები?

— თავიდანვე ვერ მითხარი?!

•••

მამაკაცი ქალს საყვედურობს:

— ხომ გთხოვეთ, ჩემი ნივთებისთვის მიგეხედათ?

— მივხედე, ის კი არა, რომ მიჰქონდათ, მზერაც კი გავაყოლე...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# ბოაი



ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

— გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
— ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
— კანის დაავადებები
— უროლოგია
— გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.




ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


## პატარძალი საკურთხეველთან მომაკვდავმა ბაბუამ მიიყვანა



პოლონეთში პატარძალი საკურთხეველთან მისმა ბაბუამ, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანმა მიიყვანა. საზეიმო ცერემონიიდან ორი დღის შემდეგ კი ის გარდაიცვალა.

იოანა სემამ, როგორც კი შეყვარებულისგან ცოლად გაყოლის წინადადება მიიღო, თავის 94 წლის ბაბუას ბრონისლავ კარვოვცკის სთხოვა, მის ქორწილში მიეღო მონაწილეობა. ომის ვეტერანს სიარული უკვე ძალიან უჭირდა, მაგრამ შვილიშვილს პირობა მისცა, რომ მისთვის ასეთ მნიშვნელოვან მომენტში მის გვერდით იდგებოდა.

შვილიშვილის საკურთხეველთან მიყვანამდე საალღუმო ფორმაში გამოწყობილმა და ჯილდოებით მკერდდამშვენებულმა ბაბუამ მის წინაშე აღიარა, რომ მოუთმენლად ელოდა ამ დღეს და ეამაყებოდა, რომ ამ დღემდე მოაღწია. საზეიმო ცერემონიის სტუმრებს ბაბუასა და შვილიშვილის ერთად გამოჩენამ გული აუჩუყა და სიძეც კი ძლივს იმაგრებდა ცრემლებს. ქორწილის შემდეგ 30 წლის სემა, რომელიც მედდად მუშაობს, ბაბუას შეჰპირდა, რომ საავადმყოფოში გარდაცვალების საშუალებას არ მისცემდა. ის მასზე სახლში მის გარდაცვალებამდე ზრუნავდა. მიუხედავად იმისა, რომ თავს ძალიან ცუდად გრძნობდა, მოხუცი ძალიან გაახარა იმ ცნობამ, რომ მათი ქორწილის სურათები ფართოდ გავრცელდა სოციალურ ქსელებში.

მეორე მსოფლიო ომის დროს კარვოვსკი გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდა, მაგრამ მან გესტაპოს ლომჟეს შტაბ-ბინიდან გაქცევა მოახერხა. სამშობლოს წინაშე დამსახურებისთვის მას პოლონეთის აღორძინების ორდენი და კიდევ მრავალი ჯილდო გადაეცა.

## იტალიური სექსთოჯინების პირველი ბორდელი მოულოდნელად დაიკეტა



იტალიაში პირველი სექსთოჯინების ბორდელი, რომელიც სექტემბრის დასაწყისში გაიხსნა, ოპერატიულად დახურეს.

დაწესებულების ოფიციალურად გახსნიდან ცხრა დღე გავიდა. მის დამფუძნებლებს პოლიციელები ესტუმრნენ, მოეწყო რეიდი, რის შემდეგაც მისი ფუნქციონირების შეწყვეტის გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაწესებულების მფლობელებს იტალიის იმ კანონების დარღვევა დასდეს ბრალად, რომელიც საცხოვრებლის იჯარით გაცემას შეეხება. გარდა ამისა, შემოწმდა თოჯინები: ჯანდაცვის ადგილობრივ ორგანოებს სურდათ დარწმუნებულიყვნენ, რომ კლიენტებისთვის შეთავაზებული საქონელი ყოველი გამოყენების შემდეგ საგულდაგულოდ მუშავდებოდა.

იტალიაში ჩვეულებრივი მეძავებიანი ბორდელები კანონგარეშედ არის გამოცხადებული და ამგვარი დაწესებულება პირველი იყო ამ ქვეყანაში.

## წავებმა ნიანგის თავდასხმა მოიგერიეს და მტაცებელი გააძევეს



სინგაპურში წავებმა გააგდეს ნიანგი, რომელიც მათ თავს დაესხა. ეს შემთხვევა თვითმხილველმა ვიდეოზე გადაიღო, რომელიც შემდეგ ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ვიდეო სუნგეი-ბულოხის ნაკრძალში იქნა გადაღებული. მასზე ჩანს, რომ ექვს წავთან ნიანგი მიცურავს, რომელსაც ნაკრძალის დამთვალიერებლებმა უკუდო შეარქვეს, ვინაიდან მას კუდის ნაწილი მოჭრილი აქვს. რეპტილია წავებზე თავდასხმას შეეცადა, მაგრამ მათ ადვილად მოახერხეს მისი კბილებისთვის თავის არიდება. შემდეგ ისინი ნიანგს გარს შემოერტყნენ და იძულებული გახადეს, გაქცეულიყო.

სინგაპურის ეროვნული უნივერსიტეტის ბიოლოგიის პროფესორმა ნ.სივასტოხიმ აღნიშნა, რომ წავებსა და ნიანგებს შორის დაპირისპირება ველურ ბუნებაში ჩვეულებრივი ამბავია, ვინაიდან ორივე სახეობა თევზით იკვებება და წყლის მახლობლად ბინადრობს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მხარე ავსტრიაში; 2. სანადირო თოფიდან სასროლი მსხვილი საფანტი; 3. პირველი ქართველი ალპინისტი ქალი; 4. პიგმენტაციადარღვეული ადამიანი; 8. ქართველი მხატვარი; 9. ზღვის კომბოსტო; 11. სიტყვის ბოლოსართი; 12. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 14. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 16. ენაჩლუნგობა; 17. სპილენძის საბადო ბოლნისის რაიონში; 19. მეტისმეტად გულგრილი, აუღელვებელი ადამიანი; 21. ფრანგი ფილოსოფოსი, მწერალი.

**თარაზულად:** 5. უბანი ქუთაისში; 6. ღუზის ამოსაზიდი ჯალამბარი გემზე; 7. დაკეპილი და შეკაზმული, ბულიონში მოხარშული ხორცის გუნდა; 10. ქართული რადიო; 13. ესპანეთის ნაკრებისა და „რეალის" ფეხბურთელი; 15. ძველი ბერძნების წარმოდგენით, ცის ყველაზე მაღალი ნაწილი, სადაც წმინდანები ცხოვრობენ; 18. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 20. სამელექტროდიანი ელექტრო ვაკუუმური ნათურა; 22. მადის მოსაყვანი მცირე ალკოჰოლიანი სასმელი; 23. დაავადების დამახასიათებელ სიმპტომთა ერთობლიობა; 24. თბილისთან დამეგობრებული ინგლისის ქალაქი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**

